№ 2874
პარასკევი,
29 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2874
პარასკევი,

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში“ უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო გრძელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 10 თვით 5 მან. 75 კაპ. 11 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ამ ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **ხუთშაბათობით დამატებით—5 კაპ.**

დიდის სიმწუხარით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ მშობლები დავით ლევანის ძე და ალექსანდრა მიხეილის ასული, ძმა ლევანი და დები ლიზა, ლიდია და ლილი ღოღობერიძენი საყვარლის

ზ ე ს ი კ ო ს,

რეალურ სასწავლებლის მეოთხე კლასსის მოწაფის გარდაცვალებას სოფელ აშტარაკში 26 ივლისს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, მიცვალებულის გვამის გორა-ჯიხაიშში გადმოსვენების შემდეგ. (2—302—1).

სამშაბათს, 2 აგვისტოს, 11 საათზედ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ევტიხი ბესარიონის ძის მამინაიშვილისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ გარდაცვალებულის დედა, ძმა და და. (2—303.—1)

შექსპირის თხულებანი ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი.
„რიჩარდ“, „მაკბეტ“, „კორიოლან“, „იულიუს კეისარი“, „ანტონი და კლეოპატრა“, „ოტელო“ თვითო წიგნაკებად იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია, განდეგილის თარგმანი „ვაი ჭკუისაგან“ (დრამატიულ საზოგადოების გამოცემა). (3—უ.—1)

ი შ ვ ი ა თ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“
ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვ ა ჭ რ ო ბ ა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იქვე გაჭრობის დროს ჰქონდეს ფასშემა ნამსხვევ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—68)

„ქართულ დრამის ამხანაგობის გამგეობა“ ამით აცხადებს, რომ კვირას, 31 ივლისს დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა კრება.

განსახილველი საგნები:

1. 1904/5 წლის სეზონის ანგარიშის განხილვა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ლიკვიდაცია ამხანაგობისა. (ნ. 3—1)

კვირას, 31-ს ივლისს დანიშნულია უკანასკნელი **კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა,** რასაც გამგეობა აუწყებს თავის წევრთ, ქარხნის მეტათ უხერხულ მდგომარეობის გამო უექველად დაესწრნენ დანიშნულ კრებას. (2—1)

გაიღო რესტორანი ბაღით
„კავკაზი“
(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის უკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—4).

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ცინიზვილისა № 15.

ე ქ ი მ ი
გ. ა. გედევანი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდროვს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (80—6.—4)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—9. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 ივლისს.

ლონდონი, 27 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ“-ის საგანგებო კორესპონდენტი, რომელიც ვიტტეს ახლდა, იუწყება ნიუ-კესტლიდან, არა ოფიციალურად ვიცი, რომ რუსები ერთ ციდა მიწას არ დაუთმობენ იაპონიას. ის ტერიტორია, რომელიც რუსების ხელში იყო ომამდე, რუსებისავე დარჩება მოლაპარაკების შემდეგაც. სახალინიც რუსებს დარჩება. თუ იაპონელები განაცხადებენ, რომ სახალინი მათია ამ ჟამად, რუსეთი უპასუხებს, რომ იაპონიამ შეიძლება რამდენიმე წელს შეირჩინოს სახალინი, მაგრამ რუსები მაინც თავისად ჩასთვლიან კუნძულს და, პირველ შეძლებისთანავე, ხელში ჩაიგდებენო. ფულის გადახდა იაპონიისთვის იმას მოასწავებდა, რომ რუსეთი დამარცხებულია, ამას-კი თავის დღეში არ იზამს რუსეთიო.

პოტრ-სმუტი, 27 ივლისი. თუ ვიტტეს რწმუნებას საკმარისად ჩასთვლიან, იაპონელები დღესვე წარუდგენენ მას თავიანთ პირობებს, ვიტტე-კი მაშინვე აცნობებს ტელეგრაფით ხელმწიფეს და იგი გადასწყვეტს საკითხს.

რომი. იაპონიის საელჩოს ატტაშემ განაცხადა, იაპონიის დიპლომატია დიდს იმედებს ამყარებს პორტ-სმუტის კონფერენციაზე. თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, რწმუნებულები ვერ შეთანხმდებიან, იაპონია მაშინ ფლოტს გაჰგზავნის ბალტიის ზღვაში. პოლიტიკური წრეები ამბობენ „ამის შესახებ, რომ იაპონია ტრაბახობს და განზრახვა აქვს ამით შთაბეჭდილება მოახდინოს რუსეთის საზოგადოებაზე და შეამსუბუქოს ზავის ჩამოგდების საქმესო.

ლონდონი, 27 ივლისი. „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება პორტ-არტურიდან, „ზავის შესახებ იმედი არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ახლა. ორივე მოწინააღმდეგის პესიმიზმი მხოლოდ გარეგნულია, როგორც ეტყობა. იაპონიასა და რუსეთს სრული აქვთ აქვე მოაწერონ ხელი ზავზეო. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ იაპონიას აუნაზღაურებს რუსეთი სამხედრო ხარჯს არა პირდაპირის კონტრიბუციითო.

პორტ-სმუტი, 26 ივლისი. რუსისა და იაპონიის დელეგატებმა ერთად ისადილეს და შემდეგ ეტლებში ჩასხდნენ; პირველ ეტლში ჩასხდნენ ვიტტე და როზენი, მეორეში—კომურა და ტაკახირა. მილიცია კედლივით იდგა; აუარებელი ხალხი ირგვლივ და ყვირილითა და ტაშის კვრით ეგებებოდა რწმუნებულთ. სალამი უფრო ვიტტეს ეკუთვნოდა.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. პრეზიდენტ რუზველტთან მუსაიფის დროს იაპონიის საფინანსო აგენტმა კანეკომ განაცხადა, იაპონია ამ ჟამად ჩინებულ ფინანსიურ მდგომარეობაშიაო. კომურა ხვალ წარუდგენს იაპონიის მოთხოვნებს. ხმებია, რომ ვიტტე დასსთანხმდება, კონტრიბუციის მაგივრად, დიდ-ძალი ფული გაიღოს ვითომდა კუნძულ სახალინის ფასადაო.

პორტ-სმუტი, 27 ივლისი. კომურას ორნაირი პირობები აქვს: პირველ პირობებს იგი წარუდგენს ვიტტეს იმ პირობით, რომ ისინი დაუყოვნებლივ იქნებიან მიღებული; ამ პირობაში არ ითხოვენ ტერიტორიის დათმობას, სახალინს გარდა, მაგრამ ზარალის ასანაზღაურებლად 150 მილ. მან. მოითხოვენ; მეორე პირობები დამამცირებელია და იმ შემთხვევაში შეიძლება მათი მიღება, თუ რუსეთს მთლად გამოეცლება სამხედრო ძალა. ამ პირობებით იაპონელები ითხოვენ ვეება კონტრიბუციას, ტერიტორიის დათმობას, რათა იაპონიის იმპერიამ გაიფართოოს საზღვრები აღმოსავლეთ აზიისკენ, ითხოვს ვლადივასტოკის ჩაბარებას და ციმბირის სანაპიროს დათმობას.

პარიზი, 30 ივლისი. ნიუ-იორკიდან მოსულ ცნობებით პირპონტ მორგანს უნახულებია პრეზიდენტი რუზველტი სახალინის დამუშავების საერთაშორისო ამხანაგობისათვის გადაცემის შესახებ, რომლის კაპიტალი, რაოდენიმედ, უზრუნველ-ჰყოფს კონტრიბუციას.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 26 ივლისიდან: ... ზმი, მანდარინის გზის აღმოსავლეთით, გამართა სოფ. ჩაგოუს უდელ-ტეხილისაკენ. 35 ვერსტზე ტიულუდან იაპონელებმა წინ გაილაშქრეს და იმავე დროს გარს შემოუარეს ორივე ფრთას, რამაც აიძულა ჩვენი რაზმი ჩრდილოეთისაკენ დაეხია. მაძულინის უღელტეხილთან იაპონელები თავს წააწყდნენ ამ რაზმის ერთს ნაწილს და, პირისპირ სროლის შემდეგ, სამხრეთისაკენ წავიდნენ. ხაილუნჩენას რაიონში ერთმა ჩვენმა რაზმთაგანმა დაიჭირა, ცოტაოდენის ხნის სროლის შემდეგ, სოფ. იულანცზი.

ნიუ-კესტლი, 27 ივლისი. კურორტი გაჭედილია ხალხით. „უნტვორტ ოტელ“-ზე რუსეთისა და იაპონიის ბაირაღები ფრიალებენ. გუშინდელ სადილზე მანდილოსნები საგანგებოდ მორთული იყვნენ. წინ იაპონელები მოვიდნენ; მეორე სტოლს მოუსხდნენ მილიციონერები და გუბერნატორის შტაბის აფიცრები; რუსები გვიან მოვიდნენ; ისინი პირდაპირ თავიანთ სტოლისკენ წავიდნენ, იაპონელებისთვის თავი არ დაუკრავთ, ისე. იაპონელებმა ჩქარა გაათავეს სადილი და წავიდნენ, რუსები კი უფრო დიდხანს დარჩნენ, სეირნობდნენ ვერანდაზე და ვიტტე უცქეროდა ბილიარდის თამაშს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
27 ივლისი

პორტ-სმუტი, 26 ივლისი. საჭიროა ჯერ ფორმალურად მოგვარდეს საქმე და მერე დაიწყოს კონფერენცია. სურვილი გამოითქვა, რომ რუზველტი იყოს კონფერენციის თავმჯდომარედ, მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელია. მეორე გასაჭირი—საერთო ენის უცოდინარობაა. კომურა და ტაკახირა ინგლისურად ლაპარაკობენ, ფრანგულად არა, ვიტტემ ფრანგული იცის, ინგლისური-კი არა. ამას გარდა გამოურკვეველია ჯერ, ვინ დაადგენს სხდომების წესრიგს და ვინ დაიწყებს მოლაპარაკებას. ერთად ერთში არიან რუსები და იაპონელები თანახმანი—კონფერენცია არ უნდა დააბრკოლოს ტეხნიკურმა მხარემაო. არც ერთ მხარეს არ მიაჩნია საჭიროდ ზავი, მაგრამ ორივე მოსურნეა მისი.

პორტ-სმუტი, 27 ივლისი. სამშვიდობო კონფერენციის დღევანდელ კონფერენციაზე, რომელიც დილის 10 ს. გაიხსნა, დაესწრება მხოლოდ 4 რწმუნებული. შესაძლებელია, რომ ორივე მხარემ მღივნები ძოიწვიონ. დღევანდელ სხდომას შესწირავენ რწმუნებათა განხილვას და საკამათო ენის საკითხს. ფიქრობენ, რჩევაზე მიიწვევენ რუსეთის საელჩოსა და იაპონიის მისსიის ატაშეთო. იმედი აქეთ, რომ შესათანხმებელ ბაზას პირველსავე სხდომაზე იპოვნიანო. ამის შემდეგ შეუდგებიან დროებით ზავის საკითხის გარჩევას, შემდეგ თვით მოლაპარაკებაზე გადავლენ, რაც, ძლიერ ცოტა რომ ვსთქვათ, 5 კვირას მაინც გასტანს, სანამ ხელ-შეკრულობას მოაწერდნენ ხელს.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. გაზეთები იუწყებიან, ტერიტორიალურ დათმობის შესახებ, რუსეთი არაა წინააღმდეგი იაპონელების ზოგიერთ მოთხოვნებისაო. ვითომც რუსეთი მზად იყოს, განსაზღვრულ პირობებით დაუთმოს სახალინის ის ნაწილი, რომელიც იაპონელების იყო 1875 წ. „ასოს. პრესს“-ს გაუგია, რომ თანხმად რუსის რწმუნებულების ინსტრუქციისა, მათ არ შეუძლიანთ დაუთმონ მხოლოდ შესახებ კონტრიბუციისაო.

კურსკი, 27 ივლისი. კაზაცკის სადაბადო-ში გაძარცვეს საყდარი. წაიღეს ბარძიმი, ტრაპეზის ჯვრები, ფულები და სხვა და სხვა ძვირფასეულობა. საყდრის დარაჯი მოჰკლეს.

ვარშავა. „ვარშ. დნევნიკ“-ის სიტყვით, კრაკუზე სასჯელი მოიყვანეს სისრულეში და ჩამოახრჩეს 23 ივლისს.

ჰელსინგფორსი. უმაღლესად ებრძანა სენატს, წარუდგინოს მოსაზრება ფინლიანდიის ერობების პეტიციის შესახებ, რომელიც ეხება სიტყვის თავისუფლების შემოღებას ფინლიანდიაში.

ხარკოვი. უნივერსიტეტში 300 კადასტუდენტად და 250 სტუდენტად ჩასარიცხი თხოვნა მოვიდა.

პეტერბურგი, 27 ივლისი. დღეს გაიხსნა სხდომა გასატან ნავთზე ტარიფის დაკლების შესახებ. 21 ივლისიდან, თანახმად ოფიციალურ ცნობებისა, რუსეთში ხოლერა არ ყოფილა.

სიმფეროპოლი, 27 ივლისი. სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან ვინმე ყურჩევსკის უნდოდა ყალბის რწმუნების საშუალებით 30 ათასი მანეთი გაეტანა. ტელეგრაფით შეკითხვამ გამოააშკარავა გაიძვერობა. ყურჩევსკი დაატუსაღეს.

ბერლინი. რადგანაც ძლიერ გაძვირდა ხორცი, ამიტომ სოციალ-დემოკრატების ბელადები ითხოვენ, გახსნილ იქნას საზღვრები უცხოთის, მეტადრე რუსეთის, საქონლისთვის. ამაზევე შუამდგომლობენ სილეზიის ქალაქები, რომელთაც მოთხოვნა წარუდგინეს მთავრობას, დაუყოვნებლივ შემოყვანილ იქნას რუსეთიდან 1300-დან 2500-მდე ღორი, რაც ძალაში მყოფად 1906 წ. შუა ახალის ხელ-შეკრულობით. სამიწათ-მოქმედო მინისტრი იწვევს ბერლინში პრუსიის ყველა სამეურნეო პალატების თავმჯდომარეებს ხორცის საკითხის გამოსარკვევად.

ჟურნალ-გაზეთებიდან

კუნძული სახალინი. „ტაიმს“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „სახალინის ბედი გადასწყდა. რუსეთის ფოსტისა და ტელეგრაფის უმთავრესმა მმართველობამ გამოაცხადა, სახალინზე წერილებისა და დეპეშების გაგზავნა მოისპოო. ამურის ოლქიც დიდ განსაცდელშია ჩავარდნილიო. („ნ. დ.“).

ტოკიოდან ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს: კუნძულ სახალინის ახალმა იაპონელმა გუბერნატორმა გამოაცხადა, მთელი კუნძული იაპონელების ხელშია, ამიტომ ამას იქით რუსების წინააღმდეგობა კანონიერ ბრძოლად-კი არა, უბრალო აჯანყებად ჩაითვლება კანონიერ მთავრობის წინააღმდეგაო. („ნ. დ.“).

ზავზე მოლაპარაკება. პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ პარიზის გაზეთებს: სამხედრო პარტიამ აჯობა ზავის პარტიას და ზავის საქმე საეჭვო გახდაო. ირწმუნებიან, გენ. ლინევიჩს ამ ჟამად 150 ათას კაცით მეტი ჰყავს, ვიდრე გენ. კუროპატკინს ჰყავდა მუკდენის ბრძოლის დროსაო. („ნ. დ.“).

ზავზე მოლაპარაკების გამო „ნ. ფრ. პრესე“ სწერს: თუმცა ძლიერ საწყენად ექნება, მაინც ვიტტე უნდა გამოტყდეს, რომ რუსეთს ღონე გამოელია, მილიარდები დაეკარგა და მანჯურიის მინდვრებზე ასი ათასობით დაასაფლავა თავისი შვილები. ამიტომ რუსეთს შერიგება და დამშვიდება სჭირია, რომ ღონის მოკრება შეიძლოს. იაპონიაც შერიგებას არჩევს ომსა,—ამაზე ეჭვი არავის აქვს. „ამომავალ მზის ქვეყნის“ ბედს გამჭრიახე და შორს გამჭვრეტელი სახელმწიფო კაცები განაგებენ: იმათ იციან, რომ ომი მხოლოდ საშუალება უნდა იყოს და არა მიზანი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვიტტე მოახერხებს როგორმე იაპონელებთან შეთანხმებას. ეგაა, საქმე ისაა, მოიწონებენ ამ შეთანხმებას რუსეთში, თუ არა. ვიტტეს დაუძინებელი მტრები ჰყავს. მძლავრი სამხედრო პარტია არას დაზოგავს, რომ საქმე ჩაუფუშოს. მაგრამ საზღვარგარეთ-კი ყველანი დააფასებენ ვიტტეს მოღვაწეობას, თუ შერიგებას მოახერხებს. („რ. ს.“).

ნიუ-იორკიდან ატყობინებენ „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ს: კომურას სეკრეტარმა სატომ მეტად მკაცრად მოიხსენია ვიტტეს აზრი იაპონიის პირობის უზომობაზე. ამასთანავე სატომ დაუმატა: იაპონიის მოთხოვნილება თავისუფალ, კონსტიტუციის მქონე ხალხის მოთხოვნილებაა, როდესაც რუსის ხალხმა სრულებით არა იცის-რა თავის მთავრობის გარეშე პოლიციისაო. („რ. ს.“).

რუსეთსა და იაპონიას სამშვიდობო კონფერენციაზე პორტსმუტში სულ მცირე 30 წარმომადგენელი ეყოლებათ. იაპონიის მთავარ რწმუნებულს ბარონ კომურას თან 60 ყუთი მიუტანია დოკუმენტებით. („რ. ს.“)

ხმა იაპონიის ფლოტის გაგზავნაზე ბალტიის ზღვაში. ამ ხმის გამო „მორნინგ პოსტ“-ის იაპონელი კორესპონდენტები, სხვათა შორის, შემდეგსა სწერენ: თუმცა ეს ხმა ძლიერ ფანტასტიურად გვეჩვენებათ, მაგრამ აქ შეუძლებელი არა არის რა. თუ ადმირალმა როჟესტვენსკიმ შეიძლო რუსის ფლოტის ჩაყვანა ბალტიის ზღვიდან ცუსიმამდე, იაპონიის ფლოტიც მოახერხებს ბალტიის ზღვამდე მისვლას. მაგრამ რუსეთში და აგრეთვე გერმანიაში ფიცხ ხალხს შეუძლიან დამშვიდდეს, რადგან იაპონელებს ბევრი სხვა უფრო საშური და დიდი საქმეები აქვთ და დროსა და ძალას ვერ შეალევენ ასეთ შორეულ საქმეს. იაპონელებს ძლიერ უკვირთ, რომ ევროპაში სერიოზულად ლაპარაკობენ ამისთანა დიდ პლანებზე. ეჭვი არაა, ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა ბალტიის ზღვაში რუსეთის შინაგან ვაჭრობის გაჩერება, მაგრამ, თუ შერიგება არ მოხდა,—რაც იაპონიის ბრალი არ იქნება,—მაშინ შორეულ აღმოსავლეთშიაც ბევრი საქმე გამოჩნდება იაპონიისა ხმელეთის ჯარისა და ფლოტისათვის. იაპონია ჯერ კიდევ დიდხანს არ შეუწუხებს დასავლეთს.

ინგლისი და ზავზე მოლაპარაკება. „მორნინგ პოსტ“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: ამერიკის მთავრობამ არა ერთხელ სთხოვა ინგლისისას, ზავის საქმე უფრო კარგად წავიდოდა, ინგლისმა რომ შერიგება ურჩიოს იაპონიასაო, მაგრამ ამერიკის მეცადინეობამ, ეტყობა, ვერ გასჭრა. ინგლისს დღესაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავის მოკავშირეს მხარი დაუჭიროს. ვაშინგტონში ეხლა იციან, რომ ინგლისი თავდაპირველად თავის მოკავშირის სარგებლობისათვის იზრუნებს. აქ ირწმუნებიან, მარკიზ ლენსდოუნის აზრით, ინგლისს არ შეუძლიან იმნაირად მოიქცეს, რომ რუსეთს რაიმე უპირატესობა მიეცეს. რაც უნდა ძლიერ ჰსურდეს ინგლისს ზავი, მაინც იაპონიას ვერავითარ ძალას ვერ დაატანს, როცა იაპონია რჩევასა ჰკითხავს ინგლისს, მაშინ ლენსდოუნი დაუყოვნებლივ უპასუხებს და პასუხის დაწერის დროს თავდაპირველად იაპონიის ინტერესებს გაუწევს ანგარიშს. ინგლისისა და ამერიკის მთავრობის მიწერ-მოწერიდან აღმოჩნდა, რომ ინგლისს სწამს იაპონიის მოთხოვნილების ზომიერება. ერთმა პირმა, რომელსაც კარგად აქვს შეტყობილი ინგლისის მთავრობის აზრი, სთქვა: „ლონდონის მთავრობას არც ომამდე, არც შემდეგ არც ერთხელ არ უცვნია უჭკუოდ იაპონიის მოქმედება. იაპონია მეტად გონივრულად იქცევა და არა გვგონია, რომ სამშვიდობო კონფერენციაში უზომო და არა გონივრული მოთხოვნილება წარადგინოსო“.

ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს მარკიზ ლენსდოუნს და იაპონიის ელჩს გაიაშის ლონდონში ცალკე აქვთ გამართული ზავზე მოლაპარაკება. წარსულ კვირას სამჯერა ნახეს ერთმანეთი: სამშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს. უკანასკნელ თათბირზე ჩინეთის ელჩიც იყო მიწვეული; თათბირმა მეტად დიდხანს გასტანა. („რ. ს.“).

ინგლისის მოქმედება იაპონიის სასარგებლოდ. „რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: ინგლისის მთავრობა ბეჯითად ემზადება ახლო აღმოსავლეთის საქმის გადასაწყვეტად. ამბობენ, თუ შერიგება არ მოხდა, ახლო აღმოსავლეთის საქმეს აშლის და ამით რუსეთს გაჭირვებას გაუორკეცებსო.

ინგლისის ესკადრის გაგზავნა ბალტიის ზღვაში. საფრანგეთის პრესის აზრით, ბალტიის ზღვაში ესკადრის გაგზავნით ინგლისს

ჰსურს დაამტკიცოს, რომ გერმანიას თავის სურვილით არ შეუძლიან ამ ზღვის დაკეტვა; ინგლისს ჰსურს ხელი შეუშალოს გერმანიის გავლენის გაძლიერებას სკანდინავის ქვეყნებზე. ევროპის ჩრდილოეთში მეტად ბევრი დიდი და რთული საზღვაო საქმეებია გადასაწყვეტი და ინგლისი არავის მისცემს ნებას, ეს საქმეები იმის დაუკითხავად გადასწყვიტოს. („ს. ო.“).

საფრანგეთი და რუსეთი. „სლოვო“-ს კორესპონდენტი სწერს: იმპერატორების შეხვედრის შემდეგ ფრანგებს უფრო ძლიერი ჰსურთ ზავი. ამიტომ საფრანგეთის ბანკები და ფინანსისტები ფულსაც-კი უშოვნიან რუსეთს კონტრიბუციის გადასახდელად. თუმცა უამისოდაც ძლიერ ჩაფლულები არიან რუსეთის სესხებში. მაგრამ ომის გასაგრძელებლად-კი ფრანგები ერთ ფრანკსაც არ მისცემენ რუსეთს,—ეს აქ მტკიცედ და საბოლოოდ აქვთ გადაწყვეტილი, რადგან ომის გაგრძელება მხოლოდ გერმანიას გააძლიერებს და რუსეთს-კი უფრო დაასუსტებს. რუსეთის გამარჯვება აქ არავისარა სწამსო.

კლემანსო სწერს: გერმანიის პრესსა ურჩევს რუსეთს, ომი განაგრძე, უსათუოდ გაიმარჯვებო. მუკდენამდეც ამავე პოლიტიკას მისდევდა გერმანიის პრესა. გინდ რუსეთმა ერთგან სადმე გაიმარჯვოს კიდევაც, რაც სრულიად შეუძლებელია, მაინც ეს გამარჯვება არას უშველის. ურჩევნია ეხლავე შეურიგდეს იაპონიასაო. („ბ. ვ.“).

გენ. სტესელი. პორტ-არტურის გაზ. „ნოვი კრაი“-ს თანამშრომელი ბ. ნოჟინი ასე ასწერს თავის შეხვედრას გენ. სტესელთან:

1904 წელს, 22 თებერვალს, დილით, „ნოვი კრაი“-ს რედაქციაში სტესელის ადიუტანტი მოვიდა და გადმომცა, გენერალს თქვენი ნახვა უნდაო. მეორე დღეს, დილის 7 საათზე, გენერლის სახლში მიველი. გენერალი მეტად ზრდილობიანად მომეგება, მაგრამ მაინც გამაგებინა, რომ ის გენ. სტესელი იყო, მე-კი მხოლოდ ნოჟინი. ვიკითხე, რამდენადაა პორტ-არტური გამაგრებული-მეთქი.

— უნდა გითხრათ, რომ მე მებრძოლი გენერალი ვარ და ციხის გამაგრებისა არა გამეგება-რა. აქ მხოლოდ დროებითა ვარ. როგორც იცით, ციმბირის მე-3 კორპუსის უფროსად დავინიშნე და იალუზე უნდა წავიდე. მხოლოდ ახლა კომენდანტის მოსვლას ველი. ციხესაც ის გაამაგრებს.

— ცინჩოუ ვიღას ხელში იქნება?

— ეგეც იმის ხელში იქნება. თქვენი ახალი კომენდანტი ნასწავლი კაცია. პორტ-არტურის გაზეთი სწერს, ახალმა კომენდანტმა თითქმის 10 აკადემია დაასრულაო. ჩემი საქმე ბრძოლაა და არა ციხეების აშენება. ან რა ეშმაკად უნდა დავხარჯოთ ფულები ციხის აშენებაზე. ყვითელ სახიან ეშმაკს- იაპონელს როგორ შეუძლიან პორტ-არტურამდე მოსვლა?

— მოგახსენებენ, იაპონიას კარგად მომზადებული ჯარი ჰყავსო.

—„ნოვი კრაი“ სულ ტყუილებს სწერს იაპონელებზე და ლოთებთან ერთად მარტო უცნაურ ამბებს ავრცელებს იმათზე, ლამის მეციხოვნე ჯარი სულ გადამირიოს. აქ რომ კომენდანტად დავრჩე, უსათუოდ დავკეტდი ამ მავნე გაზეთს. ტყუილებში ყველა გაზეთს გადააჭარბა. არაფერი არ დაუჯეროთ. იქ წერა დაგიწყიათ, გაფრთხილდით,—ხმის ამაღლებით დაიძახა გენერალმა.

— თქვენო აღმატებულებავ...

— კარგი. აიხსენით, რატომ აქამდე არ მოხველით ჩემთან? მოწვევას ელოდით? ჩემის სახლის გზა არ იცით? სულ სწერთ, დეპეშებს ჰგზავნით, ჭორებს ავრცელებთ. აქ ტყუილებისათვის ჩამოხველით? იცით, რომ მე ომის დროის კანონით, ეხლავე შემიძლიან თქვენი დახრჩობა. მტრისაგან ალყა შემორტყმულ ციხეში კომენდანტი ხელმწიფეცაა და ღმერთიც!

სასკოლო რეფორმის შესახებ

როგორც ვიცით, განზრახულია მომავალ სამოსწავლო წლიდან რეფორმა მოახდინონ ჩვენებურს სახალხო სკოლაში. თანახმად კავკასიის უმაღლეს მთავრობის დადგენილებისა, სამოსწავლო მმართველობამ მოიწვია ზოგიერთი მასწავლებელი და სამოსწავლო ოლქის მოხელე და ამ კომისიას შეამუშავებინა კიდეც რეფორმის პროექტი, რომელიც, ვგონებთ შემოკლებით, კიდეც დაიბეჭდა გაზეთებში.

თავი და თავი საკითხი, რომლისთვისაც კომისიას უნდა მიექცია ყურადღება, იყო: რა ადგილი უნდა დაეთმოს სახალხო სკოლაში დედა-ენას და სახელმწიფო ენას. ამის შესახებ კომისიას შემდეგი აზრი გამოუთქვამს: „დედა-ენის საჭიროებას ყველა საუკეთესო რუსი და ევროპიელი პედაგოგი ამტკიცებს, ყველა ამბობს, რომ სწავლა უნდა იწყებოდეს დედა-ენაზე, რომ დედა-ენა სხვა საგნების შესწავლასაც საფუძვლად უნდა დაედოს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლა ხელს შეუშლის ბავშვის ბუნებრივ განვითარებას; ამის გარდა, ადგილობრივი ხალხი ეტანება სამშობლო ენას და მას სავალდებულოდაც სთვლის სასწავლებელში. ხალხი ზურგს უქცევს ისეთ სასწავლებელს, სადაც დედა-ენა სწავლების საფუძვლად არ არის შემოღებული“. სახელმწიფო ენის შესახებ-კი კომისია ამბობს, ეს საგანი სავალდებულოდ უნდა იქმნას აღიარებული, რადგან „ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობთ რუსულ ენის შესწავლის საჭიროებასო.“ რაც შეეხება საგნებს, რომელნიც უნდა ისწავლებოდნენ სახალხო სკოლაში, კომისიის აზრით, ასეთი საგნებია სამღვთო სჯული, დედა-ენა, რუსული ენა და არითმეტიკა. აი ამ პრინციპების მიხედვით შეუდგენია კიდეც გეგმა. ჩვენთვის საინტერესოა დედა-ენისა და რუსულის პროგრამა და ამიტომ მოგვყავს აქ ცოტა შემოკლებით.

ქართულს (საზოგადოთ დედა-ენას) სახალხო სკოლაში (ერთკლასიანში) ასწავლიან ყველა (ოთხის) წლის განმავლობაში; ამის გაკვეთილებს დათმობილი უნდა ჰქონდეს ყველა განყოფილებებში რვა-რვა გაკვეთილი კვირაში. 1-[illegible]შებმა უნდა შეისწავლონ დედა-ენაზე თავისუფლად წერა-კითხვა; წლის ბოლოში უნდა სწარმოებდეს ახსნითი კითხვა იმ წერილებისა, რომელნიც პირველდაწყებით წიგნებშია მოთავსებული. მე-2 განყოფილებაში ბავშვებს ასწავლიან სამშობლო ლიტერატურის ზოგიერთ ნაწარმოებთ ზეპირად და თავის სიტყვებით გამოთქმას და წანაკითხის შედარებით მართლ-წერას; მესამეში ბავშვებმა უნდა ისწავლონ: გარკვეული და შეგნებული კითხვა, წანაკითხის მართლ-წერა, ზეპირად-თქმა ზოგიერთ ლექსებისა, არაკებისა და სახელოვანი ნიმუშებისა; კითხვა იმგვარ მოთხრობათა, რომელთა მეოხებითაც გაეცნობიან სამშობლოსა და ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას. უკანასკნელს განყოფილებაში ბავშვებმა უნდა იცოდნენ: სალიტერატურო ნიმუშების კითხვა და შესწავლა; სამშობლო ისტორიისა, გეოგრაფიისა და ბუნებით მეტყველების შესასწავლად სხვა და სხვა სტატიების კითხვა; წაკითხულის წერილობითი გადმოცემა; წერილებისა და საქმის ქაღალდების შედგენა და ადვილ თემაზე საკუთარ თხზულების წერა.

რუსულის ენის სწავლება იწყება 1-ლის განყოფილების მეორე ნახევრიდან და სწარმოებს დედა-ენის საშუალებით ყოველდღე 1/2—3/4 საათი; წლის ბოლოს ბავშვებმა უნდა იცოდნენ ხშირად სახმარებელი სიტყვები და რამდენიმე ადვილი წინადადებანი. მე-2 განყოფილებაში ბავშვებს ასწავლიან წერა-კითხვას და პირველ-დაწყებით რუსულ სახელმძღვანელოებში მოთავსებულ ადვილ მოთხრობათა ახსნასა და ზეპირად თქმას. მესამეში ბავშვებმა უნდა იცოდნენ კითხვა და წერა მოთხრობათა, რომლებიც დედა-ენაზე და რუსულადაც უნდა ახსნან; ზეპირად თქმა სახელოვანი ნიმუშებისა. უკანასკნელ განყოფილებაში ბავშვებმა რუსულს ენაზე უნდა იცოდნენ შესაფერ მოთხრობების ახსნითი კითხვა და წანაკითხის თავის სიტყვებით გადმოცემა; მიცემულ კითხვებზე ზეპირადა და წერილობით მოთხრობათა შინაარსის გადმოცემა.

სამღვთო სჯული და არითმეტიკა ოთხსავე განყოფილებაში ისწავლება სამშობლო ენაზე; ამის გარდა, სადაც შეიძლება, გალობაც უნდა ასწავლონ ბავშვებს და სიმღერაც...

ეს არის და ეს; ამის მეტს გეგმაში არაფერს ვკითხულობთ: არც სკოლის მართვა-გამგეობაზე, არც პროგრამის გაფართოვების საჭიროებაზე, არც, საზოგადოთ, მთელის სწავლა-განათლების სისტემის გაეროვნებაზე. რეფორმა არ არის სრული და დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი. ჩვენს გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს, რომ ქართველთათვის ქართული სკოლაა საჭირო დღესვე არა-თუ პირველ-დაწყებითი, არამედ საშუალოც, რომ სკოლის მართვა-გამგეობა და პროგრამის შემუშავებაც საზოგადოებრივ დაწესებულებათა კომპეტენციას უნდა შეადგენდეს. ჩვენებურმა ბიუროკრატიამ, რასაკვირველია, ხალხის მოთხოვნას ყური არ ათხოვა და ორიოდე დაბარებულ მასწავლებლის დახმარებით შეიმუშავა ზემოდ-აღნიშნული ცალმხრივი და არა სრული პროექტი სახალხო პირველ-დაწყებით სასწავლებლისა. ბიუროკრატიულის ჩვეულებრივ გზით შემუშავებული რეფორმა უკეთესი ვერ იქმნება, რაც [illegible] კომისია თავის მოღვაწეობას დაასრულებდა...

მაგრამ, ეს კიდევ ცოტაა: ჩვენ და ჩვენთან ერთად ბევრი სხვაც ვფიქრობთ, რომ თანამედროვე პირობებში, თანამედროვე ბიუროკრატიულს წეს-წყობილებაში, იმ მცირე ცვლილების განხორციელებაც არ შეიძლება, რომელიც კომისიამ შეიტანა ახლანდელს სახალხო სკოლაში. გარემოებამ აიძულა სამოსწავლო ბიუროკრატია პოლიტიკანობისათვის თავი დაენებებია, გარუსების სასკოლო სისტემა, რომელსაც რამდენისამე თვის წინად გუნდრუკს უკმევდა, უარ-ეყო დღეს; მაგრამ ვინ არის თავდები და სადაა გარანტია, რომ ხვალ, უფრო ხელსაყრელ პირობებში, ბიუროკრატია ისევ არ მოინდომებს წინანდელ სისტების დაბრუნებას?! თვით კომისიამ მოგვაგონა, რომ ჯერ კიდევ 1881 წელს 13 იანვარს დამტკიცებულის პროგრამით დედა-ენის საშუალებით უნდა ესწავლებინათ სახალხო სკოლაში, მაგრამ სწორედ იმ წლიდან დაწყებული დღემდე მეფობდა არა რუსთა სკოლაში ის საშინელი რეჟიმი, რომლის მომაკვდინებელ გავლენას თვით სამოსწავლო ბიუროკრატია აღიარებს დღეს. შეიძლება ხომ დღესაც ასე მოხდეს, ესე იგი, თუ ბიუროკრატიას დარი დაუდგა, უკანვე წაიღოს თავისი ახალი პროექტი?! ამიტომ, როგორც სხვა შემთხვევებშიაც, აქაც ყველაფერი იმისგან არის დამოკიდებული, თუ როგორ და როდის განხორციელდება რუსეთისათვისაც საჭიროდ აღიარებული დიდი პოლიტიკური რეფორმა. ასეთ გარანტიაზე სხვებიც ათითებენ; მაგალითად, სწორედ ამავ საგნის შესახებ გაზეთი „სინ ოტეჩ.“-ს სარედაქციო წერილში (№ 134) ვკითხულობთ: „მწარე გამოცდილებით იციან კავკასიელებმა, რა არის ბიუროკრატიის დაპირება, და ამიტომ უნდობლად უყურებენ ყოველ მის ნაბიჯს. და, ვერც დავზრახავთ მათ ამის გამო. წინანდელს ცნობილ საკანონმდებლო აქტებში აღიარებული იყო სახალხო ეროვნულ სკოლის საჭიროება, უზრუნველყოფდით კიდეც კავკასიელთ ამგვარ სკოლით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალ წლების განმავლობაში გარუსების სისტემის სკოლა აღრჩობდა კავკასიელთ. რაღა საკვირველია, რომ კავკასიელნი ამბობენ: „მოგვეცით ჩვენც წეს-წყობილების განახლების გარანტია, რომელსაც მთელი რუსეთი მოელის; მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენც დარწმუნებულნი, რომ რასაც დღეს მოგვცემენ, ხვალ ისევ აღარ წაგვართმევენ“...

კოლლექტივიზმი და კერძო ინიციატივა.

(დასასრული *)

რაც შეეხება სამუშაოს **შესრულებას**, თავის თავად ცხადია, რომ ყველა ის საშუალება, რასაც ახლა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ხმარობენ—პრემიები, ნაჭრობით ან ნარდად მუშაობა და სხვა.—შეიძლება იხმარონ წარმოების საზოგადო ორგანიზაციის დროსაც, თუ კი ეს საჭირო იქმნება. მაგრამ ამ საშუალებებს ცოტა მნიშვნელობა ექმნებათ. ნარდად და ნაჭრობით მუშაობას წინ ეღობება ან ტეხნიკური სიძნელე ან (რადგან ამ ფორმით ფულის პატრონნი ძალიან ხშირად ბოროტად სარგებლობენ) მუშების სამართლიანი წინააღმდეგობა. მაშასადამე, მორიგების უმთავრესს ფორმად დარჩა დღიურად მუშაობა. მაგრამ ამ შემთხვევაში [illegible] კაპიტალისტურ წარმოებაში დაქირავებულ მუშას, როგორც ზედ-მეტ ღირებულების შემქნელ მანქანას, ამოძრავებს მხოლოდ შიმშილობის ან დასჯის შიში, ამიტომაც იგი მუშაობს ჩვეულებრივად იმ ზომით, რომ მხოლოდ არ დააჯარიმონ ან სამუშაოდან არ დაითხოვონ იგი.

თანამედროვე რეჟიმის სამწუხარო შედეგები, შრომის ნაყოფიერების თვალთა ხედვით, უფრო თავს იჩენს ხოლმე წარმოების იმ დარგებში, სადაც ზედამხედველობა ძნელია, მაგ. სასოფლო მეურნეობაში. „ძალიან კარგადაც რომ იყოს მოწყობილი სა-
ქმე,—ამბობს პირეტი,—მაინც ძნელი დ
ჯერებელია, რომ დღიურმა მუშამ გამო
ნოს იმაზე მეტი ენერგია, რაც აუცი
ბლად საჭიროა ჯარიმის ან სხვა უსია
ნების თავიდან ასაცილებლად. ეს მინი
მოქმედებისა თავისით შემუშავდება ხო
დღიურ მუშებში იმისდა მიხედვით, თუ
მდენად დიდია ზედამხედველობა ან უფ
ოსტატთა მოთხოვნილებანი; შემდეგ ის
დენად ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქც
რომ წესად მიიღებენ. რაც შეეხება მო
მაგირეს, აქ საქმე კიდევ უფრო ცუდ
არის: რადგან იგი დაიმედებულია, რომ ა
ადვილად და უცებ ვერ დაითხოვენ, ჯ
გირს კი სამსახურის მთელის ხნისას მ
ღებს, ამიტომ ის მატერიალურად დაინტ
რესებული არ არის, რომ ამ ხნის განმ
ლობაში რაც შეიძლება მეტი შრომა და
რჯოს. პირიქით, უმეტესნაწილად იგი ხე
მძღვანელობს ერთად-ერთის მოსაზრებით
იმუშაოს რაც შეიძლება ნელა, იმ ზომი
რომ ძალიან არ გააჯავროს პატრონი, ამ
ტომაც აქტიურ და საზრიან მუშაობის მ
გიერად გამოდის უბრალო დროის გატარებ

მაგრამ ასეთის სურათის სანახავად საჭ
როცა არ არის უეჭველად მინდორში წასვლა
მიმოიხედეთ გარშემო, დაუკვირდით, რო
გორ სრულდება თქვენსავე სახლის გამშვ
ნების ან რემონტის მუშაობა. დაუკვირდით
მაგ. მხატვარს, როგორ ზანტად, აუჩქარებ
ლივ, ღიღინით ამოძრავებს საღებავს კე
დელზე,—დაუკვირდით და ნათლად წარ
მოიდგენთ, რას ნიშნავს ქირით მუშაობა
სხვისთვის მუშაობა, რამდენი ენერგია რჩებ
მოუხმარებელი.

გნებავთ ახლა გაჩვენოთ რამე ამ სურათის ღიასაპირდაპირებლად? გნებავთ ნახოთ მეტად მკრთალი სურათი მისი, თუ როგორი იქნება მუყაითობა იმ საზოგადოებაში, რომელიც ყველა თავის წევრებს აღუძრავს ზნეობრივსა და მატერიალურს ინტერესს მუშაობისა და საერთო კეთილ-დღეობისადმი? შეიხედეთ ბრიუსელში ერთ-ერთ კოლლექტივისტურ ფურნეში, ამ მშვენიერად მოწყობილ ფართო და ნათელ პურის საცხობ ფაბრიკაში, რომელიც მომავალ წარმოების ნასახს წარმოადგენს. იქ დაინახავთ თავისუფალ მუშებს, რომელთაც არავითარი ზედამხედველი არა ჰყავთ, გარდა ამხანაგურ კონტროლისა და საზოგადო სარგებლიანობისა. ისინი მუშაობენ დღეში 8 საათს და იღებენ 6 ფრანკს, მაშინ როცა კერძო პატარა ფურნეების მუშები—„თეთრი მაღაროელები“, როგორც მათ ეძახიან—მუშაობენ ბნელ სარდაფებში 12, 13 და 14 საათს დღეში და იღებენ სულ მცირე ფასს. და [illegible] ლექტივისტები მუშაობენ ბეჯითად და ხალისიანად და ხარჯავენ ენერგიის მაქსიმუმს.

ეს მაგალითი ნათლად არ ამტკიცებს, რომ შრომის ნაყოფიერების, სამუშაოს შესრულების თვალთა ხედვით, ანუ საერთო, უნივერსალური კოოპერაცია ბევრად მაღლა იდგომება თანამედროვე წყობილებაზე?

მაგრამ, გვეტყვიან, არის კიდევ მეორე ნაირი შრომა—საქმის მოწესრიგება, **მართვა-გამგეობა**. ვის დაუყენებთ სათავეში საზოგადო საწარმოო დაწესებულებებს? სად იპოვნით ამისთვის ინიციატივის კაცებს, „მრეწველობის კაპიტნებს“, რომელნიც ახლანდელ დროში ხელმძღვანელობენ კაპიტალისტურ დაწესებულებებს?

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2873.

ფელეტონი

საადგილ-მამულო საკითხი და თვით-მმართველობა

ქართველ გლეხის გაჭირვებული მდგომარეობა სწორედ რომ აუწერელია, ენით გამოუთქმელია. მისებრ დაჩაგრულს და დაბეჩავებულს სხვაგან ძვირად შეხვდება კაცი. ან-კი საიდან უნდა იყოს დიდი საუკუნეების განმავლობაში მონობის უღელ ქვეშ ქედმოხრილი. საშინელია ჩვენი ყოფა. ჩვენს ერს აღგვა მთელის ქვეყნის პირისაგან, ერის უმრავლესობას დაუკარგავს დამოუკიდებელი ხასიათი, ეროვნული და თავმოყვარეობა, სულიერი სიმხნე და სიდიადე, გმირული სიმამაცე და გამბედაობა. ვისაც ყველა ეს სამამაცო თვისებანი აკლია, იგი ვერ შექმნის პროგრესს, მისი ბედი დაღუპულია.

ამ ბოლო დროს ჩვენი ერი თითქო აღორძინდა სულით, თითქო მოიკრიფა სულიერი სიმხნე და ძალი, გაბედა და დაჰკრა თვითნებობის წარმომადგენელთა ხარბაში, ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა. ეს ნიშანი გამოფხიზლებისა გვაძლევს იმედს და რწმენას, რომ ჩვენი ერი არ მომკვდარა, მხოლოდ ხანგრძლივ ისტორიულ განსაცდელთაგან დაღლილა, და კვლავ განახლდება, კვლავ აღსდგება.

მხოლოდ დიდი სიფრთხილე გვმართებს. განსაცდელი კარს გვადგია და, თუ მარჯვედ არ ვიქნენით, შეიძლება დავკარგოთ ყველაფერი.

მივმართოთ კრიტიკას მახვილს, რომელიც საუკეთესო იარაღთაგანია თანამედროვე ბრძოლაში, დავადგეთ გზას, განათლებულს კრიტიკულ აზრის შუქით.

საჭიროდ არა ვთვლი დავხატო ნათლად სურათი ჩამოფლეთილ-ჩამოკონკილ, გამხდარ, გაძვალ-ტყავებულ გლეხისა და იმის დამშეულ ცოლ-შვილისა, იმის უბადრუკ ქოხისა და საცხოვრებლისა, საზოგადოდ იმის საცოდავ ყოფა-ცხოვრებისა. ყოველივე ეს კარგად იცის მკითხველმა. სურათი სიღარიბისა ქართველის თვალსა და ყურს ვერ გაასცდება.

ჩვენის სიღარიბის მიზეზი ღრმა და მრავალგვარია. სხვა და სხვა მიზეზებმა ხელი შეუწყეს ერთმანეთს, ერთმანეთს დაეხმარნენ, შეერთებულის ძალით მოიტანეს იერიში ერზე და ძირს დასცეს მისი კეთილ-დღეობა.

მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენი უუფლებობაა, ჩვენი სვე-ბედი ჩვენს ხელთ არ არის. ჩვენი ბატონ-პატრონობა სხვას მიუთვისებია და ჩვენ-კი ნება არა გვაქვს არა თუ გაზრუნოთ ჩვენის თავისათვის, არამედ ხმა ამოვიღოთ ჩვენის საჭიროების შესახებ. მაშ ყველაზე უფრო საჭიროა მოვიპოვოთ ბუნებრივი, უსაჭიროესი მოქალაქეობრივი უფლებანი. საჭიროა ჩვენი საქმეები, ჩვენი ბედი და მდგომარეობა ჩვენმა ამორჩეულმა კაცებმა განაგონ. საჭიროა ჩვენი კანონები მხოლოდ ჩვენში იწერებოდეს, საჭიროა ფართო თვით-მმართველობა.

მთელ ქვეყანაზე ყოველი ერი, ყოველი ახალშენი იბრძოდა ან იბრძვის ავტონომიისათვის. ავსტრალია, ახალი-ზელანდია, კანადა თავისუფალ ავტონომიურ რესპუბლიკებად გადაიქცნენ. ამისთვისვე იბრძვის სამხრეთი აფრიკა, ინდოეთი, ირლანდია. ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლას დიდი ადგილი უჭირავს ევროპის ისტორიაში. არსად, არც ერთი ერი არ უარჰყოფს ავტონომიურ თავისუფლებას, პირიქით, იბრძვის ამ თავისუფლებისათვის. ყველგან და ყოველთვის ეროვნული თავისუფლება საჭირო ყოფილა ხალხის ქონებრივ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისათვის. ყოველი ევროპიელი აუცილებელ, ბუნებრივ საჭიროებად სთვლის ეროვნულ თავისუფლებას ისე, როგორც ჰაერს, წყალს, საჭმელს.

მხოლოდ ჩვენის უკუღმართ ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენდა გზა-დაბნეული მოძღვრება „დასელებისა“, რომელთაც მცირე მსგავსება აქვთ ევროპიელ სოციალ-დემოკრატებთან. ეს უცნაური მოძღვრება,—თუ შეიძლება ვუწოდოთ მოძღვრება ასეთს სიყალბეს,—უარჰყოფს ავტონომიას, ეროვნულ თავისუფლებას და ურცხვად გაიძახის, რომ ავტონომისტებს მხოლოდ ხალხის საუბედუროდ უნდათ ავტონომია, მშრომელ ხალხისთვის მავნებელია ავტონომიური თავისუფლებაო. ამგვარი მიმართულება „დასელებისა“ მით უფრო საკვირველია, რომ მათ მიერ ნაჩვენები გზა ხელს უწყობს ჯარისა და მოხელეების გამრავლებას. თუ ერთმა კუთხემ უნდა იბატონოს სხვა კუთხეებზე, უნდა იყოლიოს ჯარისა და მოხელეების სიმრავლე მორჩილ ქვეყნების ასალაგმავად. ავტონომიური თავისუფლება-კი თვითეულ კუთხისა შესაძლებელ ჰყოფს მუდმივ ჯარების გაუქმებას, ანუ სახალხო მილიციის დაარსებას, და მოხელეების არჩევას ხალხის მიერ. მაშასადამე, შესაძლებლად ჰყოფს თავიდან აშორებას აუარებელ ხარჯისას ჯარების შენახვაზე და მოხელეების თვითნებობისაგან თავის დახსნას. ამ საკითხს ამ წერილში კვლავ დავუბრუნდებით.

შევუდგეთ ახლა საადგილ-მამულო საკითხის გამორკვევას.

ხსენებულ მოქალაქურ უუფლებობის გარდა სხვა მიზეზებიც აქვს კიდევ გლეხის სიბეჩავესა და სიღარიბეს. ერთი ამ მიზეზთაგანი არის სამეურნეო უმეცრება და საზოგადო განუვითარებლობა. გლეხს ისევ მამაპაპისეური გუთანი და თოხი უჭირავს ხელში. არ იცის ღვინის შენახვა, ბაღოსნობა და სხ.; ვერ მოუხერხებია ადგილის გასუქება პატივით; არ იცის ხელოვნურ ბალახის თესვა, ვენახის კეთება თანამედროვე ტეხნიკის თანახმად, მატყლის წმენდა და სხვა და სხ. ბევრს მუშაობს, მაგრამ მისი შრომა ნაყოფიერი არ არის. ამ გაჭირვებას ეშველება, თუ დააარსებენ სამეურნეო სკოლებს. მაგრამ, ნათქვამია, სანამ მეტრე მოვიდოდეს, ბავლს ტყავი გააძვრესო. სანამ სამეურნეო სკოლებს დააარსებდნენ და ხალხს თანამედროვე სამეურნეო ცოდნას მიანიჭებდნენ, გლეხს თავისი დაემართება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გლეხი გაკოტრების საზღვარს უკვე გადასცდა და ეკონომიურ სულთა-ბრძოლაშია.

მესამე მიზეზი სიღარიბისა მამულის სიმცირეა. მცირე მამულის პატრონს არა აქვს არც საკუთარი საშუალება და არც ნდობა, რომ გაუმჯობესებულ მეურნეობას მოეკიდოს. და, როგორც ობობა ბუზებს, ისე აბამს წვრილ მამულებს თავის ქსელში მევახშე. შეიძლება თუ არა ეშველოს საქმეს გლეხების გადასახლებით თავისუფალ ადგილებზე? ვგონებ, რომ არა, რადგან, ჯერ ერთი, თავისუფალი ადგილი ცოტაა და, რაც არის, ჩვენ არავინ მოგვცემს, და მეორე, მთელი საქართველო ხომ ვერ აიყრება და გადასახლდება სხვაგან! კიდევაც რომ გვქონდეს თავისუფალი ადგილი, ხალხის უმეტესობას ამით მაინც არაფერი ეშველება.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ, თუ კი თავად-აზნაურობა ხელს აიღებს თავის მამულზე, ეს მამული საკმაო იქნება გლეხებისათვის? შემცდარი აზრია. წვრილფეხა აზნაურებს რომ ადგილი არა აქვთ, ეს ყველამ იცის. მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მთელი ადგილ-მამული დიდის თავადებისა ბანკებშია დაგირავებული. დიახ, დიდი თავადები მხოლოდ მოურავები არიან კაპიტალისტებისა, ე. ი. თავის საადგილ-მამულო შემოსავლის მეტი წილი ბანკში შეაქვთ და ბანკიდან კი გააქვთ კაპიტალისტებს. რომ ბოიკოტით ან სხვა გზით თავადებს სრულიად ხელი აეღებინოთ მათს ადგილებზე, ამ ადგილებს კაპიტალისტები დაეპატრონებიან, რომლებიც, ცხადია, გლეხების ბოიკოტს არ შეუშინდებიან. მაშასადამე, ხსნა არც ამ მხრით არის.

მთავარი მიზეზი გლეხის ყოველგვარ გაჭირვებისა და უბედურებისა არის მარტო-ხელობა. თუნდათ ქვეყანაც რომ მიეცეს თითო გლეხს, მის მოსახლეობას მაინც ვერ ექმნება მტკიცე, შეურყეველი საფუძველი. მარტო-ხელი კაცი სუსტია, მისი შრომა არ არის ნაყოფიერი; ერთი კაცის ღონე შეზღუდულია, ერთი ხელით შექმნილი სიმდიდრე არა-რა არის.

გლეხი არ არის მჭიდროდ შეკავშირებული თავის მეზობელ გლეხთან. თვითეული მოსახლე თავისთვის ზრუნავს და იბრძვის. „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, გლეხურის წარმოების ნიადაგზეა აღმოცენებული ეს თქმულება.

ახლანდელმა მოძრაობამ დაამტკიცა, რომ გლეხობასაც აქვს საერთო სურვილები, საერთო ასპარეზი მოქმედებისა, მაგრამ თვითეულ გლეხს მაინც საკუთარი, კერძო, დამოუკიდებელი, განმარტოებული მოსახლეობა უნდა შეარჩინოს. ამგვარი მოსახლეობა კი წინააღმდეგია ნამდვილ ძმობისა და ერთობისა.

განმარტოებული გლეხი, როგორც სამართლიანად ამბობს მარქსი, ბარბაროსია, რადგან უარჰყოფს შეერთების პრინციპს.

ამასთანავე გლეხური მოსახლეობა უარჰყოფს თანამედროვე ტეხნიკურ გაუმჯობესების შემოტანას მიწათ-მოქმედებაში, რადგან გლეხს არც ცოდნა აქვს და არც თანხა. საერთო სიღარიბე კი ჰქმნის საერთო უმეცრებას და გაველურებას.

გლეხი თავის დღეში ვერ დააწევს თავს მევახშის ვალს. მევახშეს ხელში უჭირავს მისი მარყუჟად, რომ მარჯვე დრო შეურჩიოს და [illegible] განსაცდელში ჩავარდნილი გლეხი.

გლეხს თავის დღეში არ ექმნება იმდენი შე-

პასუხი სულ უბრალოა: გარდა იმისა, რომ საყოველთაო და ყოველ-მხრივი განათლება წარმოშობს ახალ ნიჭებს, ახლანდელი ნიჭიერი ორგანიზატორები შემდეგშიაც ჩვენ ხელთ დარჩებიან, და თუ მათი წაქეზება მაინცა და მაინც აუცილებელი გახდება, რა დაგვიშლის მივმართოთ მაშინაც იმავე საშუალებებს, რასაც ახლა ამ აზრით ვხმარობთ.

რასაც ახლა რომელიმე ტრესტი ხმარობს დირექტორების ან მოსამსახურეთა ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად—ზოგიერთ ფუნქციების დეცენტრალიზაცია, მოგებაში მონაწილედ შეყვანა, ამაღლება დაჯილდოება და სხვა—ამასვე იხმარს, თუ საჭირო იქნა, მომავალი კოლექტივისტური საზოგადოება.

მაგრამ ის გარემოება, რომ კოლექტივისტურ საზოგადოებას შეუძლიან მიმართოს ზემოხსენებულ ზომებს მომუშავეთა ინიციატივისა და გულმოდგინეობის გასაძლიერებლად, ე. ი. ხელუხლებლად დასტოვოს ახლანდელი **უთანასწორობა** შრომის დაჯილდოებაში,—ეს გარემოება კიდევ არ მოასწავებს ზემოხსენებულ ღონისძიებათა აუცილებლობას. პირიქით, ყოველიფერი იმას გვეუბნება, რომ მომავალ საზოგადოებაში ეს უთანასწორობა თანდათან შესუსტდება და კიდეც მოისპობა, რადგან იგი აღარ იქნება გულმოდგინეობისა და ინიციატივის სტიმულად. რა ვუყოთ, რომ ახლა სხვა ნაირად არის საქმე—ეს ადვილი ასახსნელია: ყოველი კაცი მუშაობს ახლა პირველად ყოვლისა ფულის გულისთვის, რადგან მხოლოდ ფული აძლევს სოციალურ უპირატესობას, უშიშროებას, დამოუკიდებლობას; მხოლოდ ფულის საშუალებით იკმაყოფილებს იგი თავის ყოველგვარ მოთხოვნილებას (მათ შორის სულიერსაც). მაგრამ მაშინ, როცა მოისპობა ფულის ბატონობა, როცა ჩამოვაგდებთ ტახტიდან ამ „პატარა ღმერთს" და გავამეფებთ კოლექტიურ საკუთრებას, რომელიც ყველას საშუალებას მისცემს დაიკმაყოფილოს ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებანი, მაშინ ფულის სიხარბე დაუთმობს ადგილს ადამიანის გულში სხვა მოტივებს, ფულის ინტერესის ადგილს დაიჭერს პირად ინტერესის უმაღლესი ფორმა.

მართლაც, ეჭვი არ არის, რომ თავმოყვარეობა, სურვილი უმაღლეს ადგილების დაჭერისა საზოგადოებრივ შრომის იერარქიაში დიდ როლს ითამაშებს შემდეგშიაც, და ეს როლი მით უფრო გაძლიერდება, რაც უფრო შესუსტდება არსებობისთვის ბრძოლა.

მეორის მხრით, ცოტის წამება იქნება, რომ ადამიანში უარვყოთ წმინდა ალტრუისტული გრძნობები, რომელთა განხორციელებას დღეს ხელს უშლის ინტერესთა ანტაგონიზმი; ხოლო კოლექტივიზმის, ინტერესთა სოლიდარობის დროს ამ გრძნობების განვითარებას რაღა დაუდგება წინ? ამის დასამტკიცებელ მაგალითებსა ვხედავთ იქვე, ბელგიის კოოპერატივებში, სადაც ისეთი კაცები, როგორიც არის, მაგ., Anseel-ი, ჯერდებიან მუშის ხელფასს და ამასთან თავის ენერგიის და ძლიერ ნიჭის წყალობით სასწაულებს აჩენენ ისეთ დიდ საქმეში, როგორიც ბელგიის შესანიშნავი კოოპერაციაა.

ამიტომ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც **„სამუშაოს შესრულების"** მხრივ, ისე **„იმის მართვა-გამგეობის"** მხრივ კერძო ინიციატივა, წარმოება და საზოგადოებრივი სიმდიდრე-კი არ წაგებს, მოიგებს, თუ ადამიანები, ერთმანეთის ან ბრძოლის მაგიერ, შეერთდებიან ერთ დიდ ასსოციაციად ბუნებასთან საბრძოლველად.

ახალი ამბავი

◆ გაზეთ „კავკაზ"-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი **ოფიციალური განკარგულება კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა:** იმ წესების ძალით, რომელიც კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეს შეეხება, საჭიროდ ვცან საზოგადოებრივ მშვიდობიანობის აღსადგენად, რომელიც ამ ბოლოს დროს დაირღვა მავნე აგიტაციის გავლენით გორისა და დუშეთის მაზრებში, ეს მაზრები გამოყოფილ იქმნენ ტფილისის გუბერნიიდან და, სრულ მშვიდობიანობის აღდგენამდე, დაექვემდებარნენ გენერალ-ადიუტანტ თავად ამილახვარს. ამასვე ევალება უფროსობა იმ ჯარისა, რომელიც გორისა და დუშეთის მაზრებშია.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, ნამესტნიკის კანცელარიამ გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს მიწერილობა დაუგზავნა. კანცელარია სწერს, ერთის მაზრის მცხოვრებთა საჩივრისა გამო გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთი **საერობო დარაჯები** (სტრაჟნიკები) **სამსახურის ასრულების დროს ცუდად** იქცევიან, გადამეტებულად გულმოდგინეობენ და ძალიან აწუხებენ მცხოვრებთ. სასტიკად იქცევიან დარაჯები განსაკუთრებით მაშინ, როცა ვერ ახერხებენ ხოლმე რომელისამე ბოროტ-მოქმედების ჩამდენის აღმოჩენას და აგრეთვე მაშინ, როდესაც რაიმე მიზეზის გამო დაპატიმრებულნი არ გამოტყდებიან. დარაჯები ისეთს ძალმომრეობას მიმართვენ ხოლმე, რომ მცხოვრებთ თავგზას უბნევენ. ასეთი მოქმედება იწვევს მცხოვრებთა სამართლიან საყვედურს და საჩივარს. კანცელარია ავალებს გუბერნატორებს, აუკრძალონ დარაჯებს ასეთი სასტიკობა. ტფ. გუბერნატორმა შესაფერი განკარგულება მოახდინა.

◆ **სრულიად რუსეთის მალაკანთა კრებამ** ვორონცოვკაში ასის წლის იუბილეის დღესასწაულის შემდეგ დაადგინა: 1. დაამყაროს ურთ-ერთ შორის მშვიდობა; 2. შეადგინოს **კატეხიზმო** მალაკანთა მოძღვრებისა საღმრთო წერილის საფუძველზედ; 3. საერო განათლებასთან ერთად სკოლებში ასწავლონ საღმრთო სჯული იმ პროგრამით, რომელიც მალაკანთა მოძღვრების მიხედვით იქნება შემუშავებული; 4. დაარსდეს ბავშვთა და მოზრდილთათვისაც (სასულიერო-საზნეობრივო საწრთვნელი აუდიტორიები; 5. შესდგეს მგალობელთა გუნდები ბავშვთა და მოზრდილთაგან გალობის შესასწავლად; 6. დაარსდეს მალაკანთათვის უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი; 6. დაწესდეს, რომ ყოველს საზოგადოებაში ესა თუ ის საკითხები გადაწყდეს კენჭის ყრით. კენჭის ყრაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოების ყველა წევრმა—სრულ-წლოვანებმა; 7. არჩევანი სასულიერო პირებისა დახურულ კენჭის ყრით უნდა მოხდეს; 8. საზოგადოების ყველა დადგენილების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნას თითოეულ საზოგადოებაში განსაკუთრებული საბჭო უხუცესთა; საბჭოში 9 კაცი იქნება; 9. დაარსდეს და გამოიცეს მალაკანთათვის ჟურნალი სასულიერო—ზნეობრივ შინაარსისა; 10. გაიხსნას მალაკანთა ყოველ საზოგადოებაში სკოლები პირველ დაწყებით სწავლის მისაღებად; 11. დაევალოს მალაკანთა მღვდლებს (პრესვიტერებს) ყოველ ახალგაზრდას ჩაუნერგონ აზრი განათლების საჭიროებისა. დასასრულ კრებამ სასურველად სცნო ეცადნენ საზოგადოებანი განთავისუფლდნენ მდიდრების გავლენისა და ბატონობისაგან. ასეთები არიან კამჩეევისა, ლეზინისა და სხვანი, რომელნიც ავიწროებენ ღარიბ ძმობათ მალაკანთა საზოგადოებისას.

◆ 25 ივლისს, დილით, ხაშურ-სურამის მხარეს კოკის პირული წვიმა მოსულა, შემდეგ **საშინელი ნიაღვრები მოვარდნილა** და დიდი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის. ნიაღვარს დაუტაცნია საქონელი, შინაური ფრინველი, გაუფუჭებია ბაღები. ბევრგან მეხი ჩამოვარდნილა. გრაკლის ზემოდ მეხს ოთხი ხარი მოუკლავს, მეორე სოფელში მეხი ეკკლესიას დასცემია, სურამში—სახლს.

◆ **ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის რვა მოსწავლემ,** რომელთაც წელს გაათავეს ეს სკოლა, ქაღალდი შეიტანა ნამესტნიკთან და ითხოვა, რომ უმაღლესს სასწავლებლებში მიღებულ იქნენ გიმნაზიაში ეგზამენის დაუჭერლად. ან, თუ ეგზამენი საჭიროა, დაეჭერინონ ეგზამენი იმავე სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. ნამესტნიკს, როგორც კავ. გადმოგვცემს, თანხმობა განუცხადებია და ეს ამბავი კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსისთვის უცნობებიათ.

◆ 3 აგვისტოს კავკასიის სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა ნოე თებზაძისა, ესტატე ნიკოლაიშვილისა, ტიხონ სანაძისა და ტფილისის გუბერნიის მცხოვრების ილია ნებიერიძისა, რომელთაც **საკანდიტროს პატრონის არტემ ალიხანოვის მოკვლა ჰბრალდებათ.** როგორც ოქმიდან სჩანს, ნებიერიძე შესულა საკანდიტროში ვითომ ბულკის სასყიდლად. თან შეჰყოლია თებზაძე. ამ უკანასკნელს ორჯელ რევოლვერი უსროლია და ალიხანოვი მოუკლავს. დანარჩენები დარაჯებად მდგარან შესავალ კარებში. სანაძეს სასამართლოში იცავს ნაფიც ვექილის თანაშემწე ი. ქ. მაჭავარიანი, ნებიერიძეს ა. ი. ყანჩელი, ხოლო დანარჩენთ—სასამართლოს მიერ მოწვეული ვექილები.

◆ 13 ივლისს განჯაში გაპარულა და **[illegible] ხარიზერგის ბატალიონის სალდათი** დავით ჰაირაპეტოვი. თან ჰაირაპეტოვს წაუღია თოფი და რამდენიმე პატრონა. როტის უფროსს კაპიტან ცატურიანცს დაუყოვნებლივ გაუგზავნია სალდათი ავეტოვი და თან რვა სხვა სალდათი გაუყოლებია ავეტოვი ძმათა ხალათოვების სახლში მისულა, გაუჩხრეკია ეს სახლი და აღმოუჩენია იქ შვიდი გატენილი ყუმბარა, ერთი თოფი და 50 პატრონა. თვით სალდათი ჰაირაპეტოვი სარდაფში უნახავთ მოკლული. თავის საკუთარის თოფით მოუკლავს თავი. კაპიტან ცატურიანს მხნე მოქმედებისთვის მადლობა მიუღია ნამესტნიკისაგან და ამას გარდა იგი წარუდგენიათ საჩუქრისათვის, ხოლო სალდათს ავეტოვს 25 მანეთი მიუღია.

◆ სოხუმის ქალაქის მოურავს კავკასიის ნამესტნიკისთვის წარუდგენია ადგილობრივ ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ **სოხუმის სასწავლებლებში მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოღებულ იქნას მსურველთათვის ქართულ ენის სწავლება.**

◆ 27—28 ივლისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე ახალციხის მაზრის მცხოვრებ სომხების აკოფ ნაზარიკიანცისა, საჰაკ ტერ-გრიგორიანცისა და ვასილ გეურქოვისა, რომელთაც **პოლიტიკურ დანაშაულობის ჩადენა** ჰბრალდებოდათ. საბრალდებულო ოქმით სომხეთა სარევოლიუციო პარტიის გადაწყვეტილებით, ბრალდებულთ ახალციხის სომხეთა კონსისტორიის მდივანი ნაზარიანცი მოუკლავთ. ბრალდებულთაგან ნაზარიკიანცს იცავდა ნაფიცი ვექილი ზავრიევი, გრიგორიანცს—ტიგრან იოანნესიანი, ხოლო მუღდუსი გეურქოვს თავ. ი. ბარათაშვილი. პალატამ ეს საქმე წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით განიხილა. პალატის გადაწყვეტილებას ამ საქმის შესახებ ხვალ ვაცნობებთ მკითხველებს.

◆ სომხეთა არქიმანდრიტს ვაგან ტერ-გრიგორიანცს, რომელსაც 1897 წელს **აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება,** ნება დაერთო უკან დაბრუნდეს.

◆ ნამესტნიკის ბრძანებით, ერევნის გენერალ-გუბერნატორს პრინც ნაპოლეონს ათი ათასი მანეთი კიდევ გაეგზავნა ერევნის გუბერნიაში **უკანასკნელ არეულობის დროს დაზარალებულთა** დასახმარებლად სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად.

◆ მთავრობას არ შეუწყნარებია მაჰმადიანთა შუამდგომლობა ტფილისში **თათრულ გაზეთის გამოცემის** შესახებ. („ნ. ო.").

◆ ტფილისის მაზრის ადმინისტრაციის, „ნ. ობ."-ს სიტყვით, შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ხაჩატურ მიქელიანცი, რომელსაც სატივოს ზემოდ ქალაქის ბორანი აქვს იჯარით აღებული, **გაძევებულ იქმნას ტფილისის გუბერნიიდან.** ამ მიქელიანცს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ჰბრალდება.

◆ პოლიციამ შეიპყრო დუშეთის მაზრის მცხოვრები შაქრო მენიაშვილი, რომელსაც ხელოსნის მიხეილ ზაზროვის მოკვლას აბრალებენ.

◆ 20 ივლისს სეტყვას თიანეთის მაზრის სოფელ სავდრონში დაუსეტყვია ნათესობა. ზარალი 4,140 მანეთისაა.

◆ ამ ორი დღის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობის კანცელარიის მოხელეებმა, სულ 60 კაცმა, საერთო თხოვნა შეიტანეს გამგეობაში და მოითხოვეს, გადაუთვალიერებინა თავისი დადგენილება მესამე რიგის გადამწერთა მიღების შესახებ. საქმე ის არის, რომ ამ დღეებში ორი ქალი, გედევანიშვილი და გუმსიშვილი გადამწერის თანამდებობაზედ მიიღო გამგეობამ და ეს არ ესიამოვნათ მსახურთ. საინტერესო ის არის, რომ განცხადებაზედ ხელი აწერია სულ ახლად მიღებულ მოხელეთაგან 8 კაცსაც. გამგეობამ ეს უცნაური განცხადება განიხილა და, სახეში მიიღო რა ის გარემოება, რომ ქალაქის დებულებით მოხელეთა მიღება ქალაქის მოურავის უფლებაა, უყურადღებოდ დასტოვა იგი და დაადგინა, განცხადება ქალაქის თავს გადაეცეს. ეხლა მოსამსახურენი სხვას ამბობენ, რომ ეს ორი ქალი გამგეობამ რიგს გარეშე მიიღო. მაგრამ ამ მოხელეთ ხმა არ ამოიღეს მაშინ, როდესაც 7 მოხელე,—3 ქალი და 4 კაცი—გამგეობამ რიგს გარეშე მიიღო და ზოგი ამათგანი მერე 25 მანეთიან ადგილზედ-კი არა, 50, 60 70 და 80 მანეთიანზე დანიშნა.

◆ გუშინ, 28 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე პოდოლსკის გუბერნიის მცხოვრების ვლადიმერ ტუტოლმინისა, რომელსაც მრავალი ბოროტმოქმედება ჰბრალდება. ტუტოლმინს ინჟინრისა და აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილს, სავაჭრო ფირმებისათვის ფული გამოუტყუებია. ვექსილები შეუდგენია, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ინჟენერ ივანოვსკის სახელით შეუმოწმებია და ფული გაუტანია და სხ. ტუტოლმინის საქმე სასამართლომ სხვა დროისათვის გადასდო, რადგან ზოგიერთი მოწმენი არ გამოცხადდნენ.

◆ „ნ. ფ."-ს 27 ივლისის ნომერში დაბეჭდილი გვქონდა დიდუბელ ვაჭრის გიორგი მათიაშვილის სიკვდილის ამბავი ვითომდა დამუქრების წერილის მიღების შემდეგ. რედაქცია შეცდომაში შეუყვანეს და ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია. ბ-ნი მათიაშვილი, საბედნიეროდ, საღ-სალამათად არის და არც გული წასვლია და არც სხვა რამ უბედურება დამართნია. მათიაშვილი დღესაც ისევე ვაჭრობს დიდუბეში, როგორც წინად ვაჭრობდა. ამ ბოლო დროს არავითარი დამუქრების წერილი არ მიუღია.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში რკინის გზის სადგურზე, როგორც აღნიშნული გვქონდა, მრავალი ჯიბგირი დათარეშობს და მოსვენებას არ აძლევს ხალხს. პოლიციამ ამ დღეებში 25 ჯიბგირამდე დააპატიმრა.

◆ ტფ. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ქალაქის სამკურნალოების შტატს გარეშე ექიმებად დაინიშნენ ექიმები ი. ე. მირზოევი, ი. რ. პახიანცი და ნ. ჯანიბეგოვი.

◆ 27 ივლისს ვიღაც უცნობს მირზოევის სახლიდან მსახურ აკოფ აბრამოვიანისათვის მოუპარავს ფულად 150 მან. და ნივთები 98 მანეთისა.

რუსეთის ქრონიკა

დიდებულ დღის მოლოდინი. პეტერბურგში დარწმუნებით ამბობენ, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს, ესე იგი ხვალ, 30 ივლისს, დიდის ამბით იდღესასწაულებენ მოსკოვშიო. ამ დღისათვის მოსკოვში თავს მოიყრიან ბევრი მაღალ წოდების წარჩინებულნი, მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენელნი და სხვ. ამასთან დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ დღეს მოსკოვში ხალხთა-წარმომადგენლობის აქტიც იქნება გამოცხადებულიო. (რ. ს.)

პოლიციის ულონობა ხალხის თავგასულობაზე. როგორც ტომსკიდან სწერენ „რ. ს."-ს, იქ ამ ბოლო დროს მეტის მეტად გახშირებულა თავგასული ძარცვა-გლეჯა და სხვა ბოროტ-მოქმედება. აქაურები ამ გარემოებას იმითი ხსნიან, რომ პოლიცია [illegible] გამუდმებულ შეუწყვეტელ მორიგეობით და ქუჩებში დარაჯობით და არ ძალუძს [illegible] ამ გაძლიერებულ თავგასულობის. მთელი ყურადღება პოლიციისა იმის წინააღმდეგ არის მხოლოდ მიმართული, რომ ქუჩებში ხალხი არ შეგროვდეს და „წეს-რიგი არ დაირღვეს". ქურდებიც სარგებლობენ ამით. („რ. ს.").

გრაფ ტოლსტოის წერილი. ინგლისურ გაზეთ „ტაიმს"-ის ერთ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ლ. ნ. ტოლსტოისა, სათაურით „დიდი უსამართლობა". ამ გრძელ წერილში მწერალი ამტკიცებს, რომ ყოველ ადამიანს უსათუოდ უნდა ჰქონდეს ცოტაოდენი საკუთარი ადგილიო. (რ. ს.).

პრესსის თავისუფლების შეზღუდვა. ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ახალი განკარ-

---

მოსავალი, რომ ყოველ-გვარი საჭირო საქარხნო ნაწარმოები შეიძინოს და დააკმაყოფილოს ამ მხრით თავის ოჯახის მოთხოვნილება, ეს გარემოება კი დიდ გასაჭირში აგდებს გლეხს, რადგან, ერთის მხრით, შინაური ხელ-საქმე გადაგვარდა და, მეორეს მხრით, შინ ნაკეთებს აღარავინ იცვამს-იხურავს და ბევრი ახალი მოთხოვნილებაც გაჩნდა, მაგალითად, ნავთის, ასანთის და სხ. ხმარება.

დაუმატეთ ყველაფერს კიდევ სახელმწიფო გადასახადები და ნათლად დაინახავთ და დარწმუნდებით, რომ გლეხის ოჯახი უძლური, არ შეუძლიან გაუძლოს ამდენ ხარჯს.

შედეგი ყოველისავე ხსენებულისა არის გლეხის უკიდურესი სიღარიბე. რომ მეორე-ხარისხოვანი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, გლეხი უარ-ჰყოფს უპირველეს მოთხოვნილებას,—მოთხოვნილებას ჭამისას. გლეხი დამშეული, ღონე-გამოლეული და გადაგვარების გზას ადგას!

გლეხის მოსახლეობაც გაკოტრებისკენ არის დაქანებული. მიწა გამოფიტული, პირუტყვი გადაგვარებული, იარაღი—უვარგისი.

დაუმატეთ ამას კიდევ სიბნელე და უმეცრება, რომელშიაც ჩაფლულია გლეხი. ცრუ-ექიმები, მკითხავები, ცრუ-წინასწარმეტყველები, ცრუ-მღვდლები, მთელი ეს ხროვა გლეხის უმეცრებითა და სიბნელის წყალობით სცხოვრობს.

მართვა-გამგეობის კვალი, რომელსაც გლეხობა ჰქონია საფუძვლად, ყოველთვის მძიმე ტვირთად სწოლია კისერზე დამონავებულ ხალხს. სადაც გლეხური წარმოება ყოფილა გავრცელებული და სახელმწიფო კი არა ყოფილა მეტის მეტად პატარა, ყველგან მონობა გაზრდილა და განმტკიცებულა. რატომ? იმიტომ, რომ მთავრობას ადვილად იმორჩილებდა გლეხებს, რომელნიც ცალ-ცალკე სცხოვრობდნენ და არ იყვნენ მჭიდროდ შეერთებულნი.

დიახ, უმეცრება და სიბნელე, შიმშილი და გადაგვარება, მონობა და მოქალაქეურად ჩამორჩენა, ყველა ამისი მიზეზი გლეხური წარმოებაა.

საიდან არის შველა?

ამას წინად „ცნობის ფურცელში" წერილი იყო ორის გლეხისა, რომელთა აზრითაც მიწა მთლად უნდა გადაეცეს სახელმწიფოს და მერე სახელმწიფომ უნდა დაურიგოს მსურველებს, თვითოს იმდენი, რამდენსაც ერთი კაცი მოერევა და დაამუშავებსო. ჩვენ ვერ თანავუგრძნობთ ამ აზრს. რომ ხსენებულ გლეხების სურვილი განხორციელდეს, გამეფდება და განმტკიცდება საუკუნოდ წვრილი სამიწათ-მოქმედო წარმოება, გლეხური მოსახლეობა, გამეფდება და განმტკიცდება, მაშასადამე, საუკუნოდ სიღარიბე, მევახშეობა და, ვინ იცის, კიდევ რა. მე ისევ ის მირჩევნია, რომ მდიდრებმა ჩაიგდონ ხელში მიწა-წყალი და შემოიღონ გაუმჯობესებული წარმოება მიწათ-მოქმედებაში, რადგან მაშინ საერთო სიმდიდრე და მუშის ქირაც მეტი იქნება და მუშათა მოქალაქეობრივი ცნობიერებაც უფრო გაიზრდება და განვითარდება. უარეს საზოგადო წყობილებას ხელოვნურად არ უნდა შევუწყოთ ხელი!

ამას გარდა მომავალ საერო კრებაში უთუოდ ისეთი წარმომადგენლები იქნებიან, რომ სასაცილოდაც არ ეყოფათ სახელმწიფო სოციალიზმი.

მაშ რა გვიხსნის? ამხანაგობა, მხოლოდ ამხანაგობა. გლეხნო და აზნაურნო! სანამ ჯერ კიდევ მთლად არ გამოუცლიათ ხელიდან თქვენთვის მიწა-წყალი, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, შეერთდით, გაარღვიეთ ღობეები, შეაერთეთ თქვენი პატარ-პატარა ნაჭერი მიწები, გარდაჰქმენით წვრილი წარმოება მსხვილ წარმოებად. ამხანაგობა ვერ ივარგებს, თუ ორმოცდაათი მოსახლე მაინც არ შეერთდა, რადგან მცირე რიცხვი ამხანაგებისა ვერ შეჰქმნის საჭირო ძალას, ვერ გააუმჯობესებს წარმოებას. მკვიდრ ნიადაგს კი ამხანაგობა მაშინ მოიპოვებს, როდესაც შეერთებულ მოსახლეების რიცხვი ათასამდის ავა. შემდეგ სხვა და სხვა ამხანაგობანი შეუერთდებიან ერთმანეთს. მაშასადამე, ჯერ პატარა ამხანაგობა თან და თან გაიზრდება და დიდად შეიქმნება, ბოლოს კი ამხანაგობათა კავშირი დაარსდება.

რით არის ამხანაგობა კარგი? აი რით: დღეს ყოველ მოსახლეს აქვს საკუთარი თოხი, საკუთარი გუთანი, ერთის სიტყვით, საკუთარი აქვს ყოველგვარი იარაღი. ათას მოსახლეს ათასი ცალი იარაღი აქვს. და ხელ-მოკლეობის გამო კი არავის არ მოეპოება გაუმჯობესებული იარაღი. ყველას ძველებური, ნაცსებური იარაღი უჭირავს ხელში. ყველამ იცის, რომ გაუმჯობესებული იარაღით ერთი კაცი ორმოცის კაცისოდენას აკეთებს, თან მუშაობა უფრო ადვილია და მსუბუქი. ერთს მოსახლეს თუ არ შეუძლია გაუმჯობესებულ იარაღების შეძენა, ათას მოსახლეს ადვილად შეუძლია. ათას უვარგის გუთნის ფასად რამდენსამე მშვენიერ, ახალ სისტემის გუთანს იყიდი, ათას უბრალო თოხის მაგიერ რამდენსამე ცხენის თოხს იყიდი. შემცდარია ის აზრი, ვითომ გაუმჯობესებული იარაღები ჩვენს დრიანკლებში არ გამოდგებაო. ევროპაში ბევრგან ჩვენის ქვეყნისებური დრიანკლებია, მაგრამ გაუმჯობესებულმა იარაღმა ყველგან გაიკვლია გზა. მაშასადამე, ამხანაგობა ბევრგან უფრო ადვილად დაამუშავებს მიწებს და ექმნება ბევრად მეტი თავისუფალი დრო, რომელსაც სხვა სასარგებლო მუშაობას მოახმარებს. ამას გარდა გაუმჯობესებულ იარაღით დამუშავებულ მიწას ბევრად მეტი და უკეთესი ჭირნახული მოჰყავს.

ამხანაგობას ექმნება საშუალება შეიძინოს გაუმჯობესებული იარაღი ხელ-საქმისათვის; ექმნება საშუალება მოაწყოს რიგიანად სარდაფი, ბოსელი და სხვ. ამხანაგობა ადვილად იშოვის თავის წევრებად განათლებულ მეურნეს, აგრონომს, რომლის შემწეობითაც ადვილად გააუმჯობესებს მიწის გასუქება-განაყოფიერების, ღვინის დაყენებისა და შენახვის საქმეს, ყველის წარმოებას და სიამოვნებით დასთანხმდებიან ამხანაგობის წევრობას აგრეთვე კაცისა და პირუტყვის განათლებული ექიმები, რადგან ახლა არც ერთი განათლებული კაცი არ არის უზრუნველ-ყოფილი უბედურ შემთხვევისა, სნეულობისა და სიბერისაგან, ამხანაგობა კი უზრუნველ-ჰყოფს ყოველგვარ უბედურებისა და გაჭირვებისაგან თვითეულ თავის წევრს, მის შვილსა და მომავალს. კერძო მოსახლეს კი, უსახსრობის გამო, არა აქვს საშუალება მიმართოს ექიმს გაჭირვების დროს. ამავე მიზეზის გამო ამხანაგობას ეყოლება წევრებად ზეინკალი, მჭედელი თერძი, მეჩექმე, მქსოველი, ხურო, დურგალი, კალატოზი, ნასწავლი ტეხნიკოსი და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით, თითქმის ყველაფერი, რაც საჭიროა კაცისათვის, ამხანაგობას უსასყიდლოდ ექმნება, ამას გარდა ექნება კიდევ მრავალგვარი გასასყიდი საქონელიც.

დიდი მნიშვნელობა ექმნება მიწა-წყლის დანაწილებას სხვა და სხვა სამეურნეო დარგებისათვის. პურის მოსაყვანად გამოსადეგ ყანებში მხოლოდ პურს დასთესენ, სიმინდის მოსაყვანად შესაფერ ყანებს გადასდებენ, სავენახე მიწებზე ვენახებს გააშენებენ, დანარჩენ მიწებს გადასდებენ ტყეების გასაშენებლად, საძოვრებისათვის და სხ. ამგვარი განაწილება ადგილებისა ძლიერ განამრავლებს საერთო შემოსავალს... ცხადია, კერძო მოსახლეს არ შეუძლია შემოიღოს ასეთი განაწილება თავის პატარა მამულში.

აუარებელი სარგებლობა და ეკონომია მოაქვს აგრეთვე საზოგადო შრომის განაწილებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ამხანაგობისათვის. მაგალითად, დღეს, რამდენიც მოსახლეა, იმდენი მწყემსია საჭირო, რადგან თავის საქონელს ყველამ თვითონ უნდა უპატრონოს. ამხანაგობას კი დასჭირდება მხოლოდ მცირეოდენი რიცხვი მწყემსებისა. საჭირო არ არის, რომ თვითო მწყემსმა ყოველ ათ სულ საქონელს მოუაროს. ერთი მწყემსი ას სულსაც კარგად მოუვლის, თუ რიგიანი ტეხნიკური მოწყობილება ხელთ ექმნება და მწყემსებს შორის დავა და ცილობა არ იქმნება. დღეს ყოველმა კერძო მოსახლემ უნდა დაიურვოს საქონელი, ასვას, აჭამოს და სხ. ამხანაგობაში კი ამ საქმესაც მხოლოდ მცირეოდენი მუშა ეყოლება მოჩენილი. დღეს ყოველმა დიასახლისმა უნდა დაამზადოს სადილ-ვახშამი, რეცხოს და სხვ. ამხანაგობაში კი დიდი ეკონომია იქმნება ამ მხრივაც. რა შრომაც ერთი ოჯახის საჭმლის დამზადებას სჭირდება, თითქმის იმდენივე შრომა სჭირდება ათი მოსახლის საჭმლის დამზადებასაც. ამგვარად, როცა მოსახლეები შეერთდებიან, ერთად იმუშავებენ, საერთო ექმნებათ ყოველივე, როგორც უძრავი და მოძრავი ქონება, ისე შრომა, საქმე ადვილად გაკეთდება, შრომა დაიზოგება, თავისუფალი დრო ბევრი იქმნება და ამ თავისუფალ დროს მოახმარებენ ან სხვა და სხვა საწარმოო დარგს, ან მეცნიერების შესწავლას, გონების განვითარებას. მეცნიერების შესწავლა კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამხანაგობის გამდიდრებას, შრომის განაყოფიერებას.

მაშასადამე, ამხანაგობას ექნება საერთო ქარხნები, ერთი ბოსელი, ერთი ბეღელი, საერთო იარაღი, საერთო, განუყოფელი ყანები და სხვა.

ვ. წერეთელი

(დასასრული იქნება)

გულება მოუხდენია, რომ იქაურ გაზეთებს ცენზორმა იმაზე მეტი ყურადღება მიაქციოს, რასაც აქამდე აქცევდა („რ. ს.").

პატრონების აღმოჩენა. 16 ივლისს სამარის ნავთსადგურთან მისულა ერთი სპარსელი თეიმურ-მამედ-მეხტი-ოღლი და მიუტანია ასტრახანში გასაგზავნი ორი მოზდილი ყუთი. სპარსელს გამოუცხადებია, რომ ყუთებში ჭურჭლეულობა აწყვიაო. ყუთებზე, სიმძიმის გამო, ეჭვი შეიტანეს და პოლიციელს შეატყობინეს, თვალ-ყური დაეჭირა ამ საეჭვო კაცზე. სპარსელმა პოლიციელი გაიხმო და ჩუმად 3 მანეთი შეაძლია ჩაის ფულად. პოლიციელმა ეს ამბავი უბნის ზედამხედველს აცნობა. გახსნეს ყუთები და შიგ 7 თუნუქის კოლოფი ნახეს, ხოლო კოლოფებში—თოფის პატრონები ბაქოში გასაგზავნად. სპარსელი შეიპყრეს და გამოძიება დაიწყეს. („ბ. გ.").

რედაქტორის გადაყენება პროფესორის თანამდებობიდან. სახალხო განათლების სამინისტროს შეუძლებლად დაუნახავს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის და მეტად სიმპატიურ გაზეთის „ნაშა ჟიზნ"-ის რედაქტორის დ. ვ. ხოდსკის დარჩენა ამ უნივერსიტეტის პროფესორად, თუმცა ამის შესახებ შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველსაც-კი აღუძრავს. ხოდსკი ირიცხება პოლიტიკურ ეკონომიის ორდინარ პროფესორად, ირიცხება აგრეთვე პროფესორად სატყეო ინსტიტუტში, სამოსწავლო საქმეთა საბჭოს წევრად ფინანსთა სამინისტროში და გაზეთ „ნაშა ჟიზნ"-ის რედაქტორ-გამომცემლად. როგორც ამბობენ, სამინისტრო იმიტომ არის წინააღმდეგი იმის პროფესორად დარჩენისა, რადგან ხოდსკი „ნაშა ჟიზნ"-ის რედაქტორადაც არისო. („რ. ს.").

საერო წარმომადგენლობის გამოცხადება. „სინ ოტეჩ."-ს გაუგონია, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომები უნდა დააჩქარონ, რომ შესაძლო იყოს 30 ივლისისთვის გამოცხადდეს საერო წარმომადგენლობის აქტიო.

ქურდ-ავაზაკთა ბრბოს შეპყრობა. მოსკოვში პოლიციას შეუპყრია ორგინალური ორგანიზაცია ქურდ-ყაჩაღებისა. ორგანიზაციას საბუთიანად დაუმსახურებია „არისტოკრატ ქურდთა" სახელი. ეს ვაჟბატონები წვრილ ქურდობას როდი კადრულობდნენ თურმე, ასე, მაგალითად, ორი ათას თუმნამდე ნაკლებს არ გაიტანდნენ. დროგამოშვებით ეწვეოდნენ ხოლმე რუსეთისა და ევროპის დიდრონ ქალაქებს. ყველაფერს ეს ქურდები დეპეშით ატყობინებდნენ ერთმანერთს. საზამთროდ დაუქირავებიათ ძვირფასი სადგომი ოთხას თუმნად. ამ სადგომის მორთვა-მოწყობაში ორი ათასი თუმანი დაუხარჯავთ. საზაფხულოდ ეს „არისტოკრატები" გადასულან პეტროვ-რაზუმოვის სააგარაკო ადგილებში, სადაც აგრეთვე ფუფუნებით ყოფილან მოწყობილნი. ჰქონიათ ტელეფონი, ელექტრონით მოწყობილი აბანოები, ვანნები, ეტლები, მშვენიერის ცხენებით. იცვამდნენ თურმე უკანასკნელ მოდაზე და სხვა და სხვა უწყების ფორმის ტანისამოსს. მსვლელობა ჰქონიათ ყველგან და ბანკში, ესწრებოდნენ და დიდძალ ფულს ხარჯავდნენ ბირჟაზე, დოღებზე და სხ. თამაშობდნენ ბანქოს და სხვას. ასე მშვიდობიანად გაატარეს რამდენიმე ხანი. უკანასკნელი ქურდობა 1 მაისს ჩაიდინეს. მოუპარავთ ვიღაც ბარანოვისთვის ძვირფასი სარგებლიანი ქაღალდები, ოქრო-ვერცხლისა და ბრილიანტების ნივთები და ექვსი ათას რვაასი (68,000 მ.) თუმანი ფული. ამ ორგანიზაციას შეადგენდა 13 ქალი და კაცი, რომელნიც სრულიად მოულოდნელად დაუჭერიათ.

* * *

პრესსა

წარსულ კვირას გორში მოხდა ქართლის თავად-აზნაურთა კრება, რომელიც მოწვეულ იყო იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოიხმარონ თავად-აზნაურობისაგან გადაცემული ფული სამეურნეო თანხისა. ეს კრება ბევრის მხრით საყურადღებოა: გამომჟღავნდა ჩვენის თავად-აზნაურობის უმრავლესობის მისწრაფება-მიმართულება. ქვემოდ მკითხველი იპოვის წერილებს აზნაურთა, რომელნიც კრებაზე არ შეუშვეს და რომელნიც ცოტა რამეს ამჟღავნებენ. ამ საგანზე „ივერია", სხვათა შორის, სწერს:

კრების უმრავლესობას შეადგენდა რეაქციონური ნაწილი ქართლის თავად-აზნაურობისა, და ამიტომ კრებასაც ისეთი მიმდინარეობა მიეცა, როგორიც მის შემადგენელთა რეაქციონურ ხასიათს შეეფერებოდა. ჯერ ერთი,—ქართლის „კეთილ-შობილებმა" კრების დარბაზში არ გააჭაჭანეს პრესსის წარმომადგენელნი. მათის აზრით, პრესსა ქვეყნის ამრევია, ხალხის აღმშფოთებელი და არეულობის მომხდენია, და, აბა, ისინი, ბატონ-ყმურ მყუდროების მოტრფიალენი, როგორ გაიკარებდნენ ახლოს კორესპონდენტებსა და ჟურნალისტებს, რომელნიც ხალხის მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებნი არიან!..

მაგრამ ქართლელ „კეთილ-შობილებს" კრების ასეთი „გაწმენდაც" არ ეჩვენათ საკმაოდ და კრებაზე დასწრება აუკრძალეს „გარეშეებს", ე. ი. არა-აზნაურთ,—რომელთაც ძარღვებში „კეთილ-შობილი" სისხლი არ მოეპოვებათ.

ამგვარად, კასტამ თავი მოიყარა და თავის „წოდებრივ უბედურობაზე" აზნაურულად დაიწყო თათბირი. მაგრამ, მოგეხსენებათ, ოჯახს თითო მახინჯი არ დაელევა: აქაც გამოჩნდნენ „მახინჯები", რომელთაც ვიწრო წოდებრივ სარწმუნოებას უღალატეს, „ლიბერალობა" გაბედეს და ამით მთელი ბრწყინვალე კრებული დიდად აღაშფოთეს. ქართლის თავადები, სხვათა შორის, ჰბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ მოეხმარათ ის ფული, რომელიც სამეურნეო თანხიდან წარიტაცეს. ზოგიერთმა „ლიბერალებმა" ის აზრი გამოსთქვეს, რომ, კარგი იქნება, ამ ფულის მოხმარების საქმეში გლეხებსაც მივაღებინოთ მონაწილეობაო. ასეთი „ღალატი" თავად-აზნაურობისა საკმარისი გახდა კრებაში აურ-ზაურის ასატეხად და ცემა-ტყეპის გასამართავად. გლეხებთან ჩვენ საერთო რა გვაქვსო,—დაიძახეს ქართლის მემამულეებმა,—და შეაჩვენეს ის „მოღალატენი", რომელნიც თავის აზნაურობას უარჰყოფენ, თავს იმდაბლებენ და გლეხობას უერთდებიან. თავგასულ გლეხებს კაზაკები დააჭკვიანებენო,—ამბობდნენ ისინი,—და ურჩევდნენ ერთმანეთს, საცა საკმაოდ კაზაკები არ ეყოლებათ, თვითონ გაიღონ ხელი და დაამტკიცონ, რომ ძველებური მხედრული ინსტინქტი, ძველებური გამბედაობა და მამაცობა მათში ჯერ კიდევ ცოცხლობს და არ გამქრალა...

ამგვარ სიტყვებით გამხნევებული თავად-აზნაურობა მხიარულად დაიშალა და, როგორც ამბობენ, მან ბრძნულად გადასწყვიტა, რომ ეგზეკუცია და სამხედრო ძალა შესაფერი წამალია ეკონომიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლად და ხალხთან მშვიდობიან დამოკიდებულების დასამყარებლად.

უნებლიეთ ამბობ ამის წაკითხვის შემდეგ „ნეტარ არიან მორწმუნენი", მაგრამ გაზეთი ამბობს, ამ ფრაზითაც ვერ მივმართავთ ქართლის თავად-აზნაურობასაო, რადგან ჰგონია, რომ „ნაკლები რწმენა ძალის ყოვლად შემძლებლობისა მათთვისვე უფრო სასარგებლო იქნებოდა"-ო...

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით, სტუდენტის ნესტორ კდომიაშვილის მიერ აღნიშნულ ფაქტებს, ჩვენის თავად-აზნაურთა მილიციის რაინდობისას, დავუმატო შემდეგი ფაქტებიც. კვირას, 24 ივლისს, გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებაზე გორის საკრებულო დარბაზში მეც შეველი, როგორც აზნაური. მაგრამ რადგან ჩოხოსანი არა ვარ და არც შეიარაღებული (რაზმში შესვლა წინად მთხოვეს, მაგრამ უარ ვყავი, რადგან ჩემი შეხედულება სრულიად ეწინააღმდეგება ბატონ რაზმელების შეხედულებას), ვინაიდან მშრომელი მუშა ხელოსანი ვარ, ამიტომ მომცვივდნენ მილიციონერები და გარედ გამოგდება დამიპირეს. მე შევეპასუხე. ვუთხარი ხმა მაღლა, რომ მეც თქვენისთანა „დიპლომიანი" აზნაური ვარ მეთქი, მაგრამ მათი რახსების ყაპა-ყუპით გარედ გამომაგდეს. თან უყვიროდნენ, სულ ერთია, რაკი ხელოსანი მუშა ხარ, ჩვენი მოწინააღმდეგე იქნებიო. მაშასადამე, მილიციის მომხრე და მოაზრე ბრწყინვალე წოდება მშრომელ ხალხის მოწინააღმდეგე ყოფილა. ძალაუნებურად ებადება კაცს კითხვა: რატომ გარეშე ხალხის დაუსწრებლად უნდა ყოფილიყო საერთო კრება თავად-აზნაურობისა...

აი მეორე ფაქტიც: გორიდან მიმავალი სამი ოსი. ბერბუკის ბოლოში იმათ შეხვდა რამდენიმე შეიარაღებული „რაზმელი", რომელთაც მიჰმართეს ოსებს შემდეგის კითხვით: თქვენშიაც არის „ერთობაო" და როცა ოსებმა უთხრეს, ჩვენ რაღა გამოსაკლებნი ვართო, სასიქადულო რაინდებმა ბერდანები დაუშინეს და ერთი მათგანი ფეხებში დასჭრეს. თუ ინებებთ, ამ ფაქტების მოწმენი მრავლად არიან. ეს დაჭრილი დღეს გორის ქსენონში წევს.

აზნაური კონსტანტინე ალექსის ძე ტატიშვილი.

II

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენის გაზეთის ფურცლებზე შემდეგი. ოცდა ოთხ ივლისს გორის საკრებულო დარბაზში დანიშნული იყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრება. კრებაზე, როგორც ხმა დადიოდა, უნდა გადაწყვეტილიყო ბევრი საზოგადო საკითხი და, აი, ამიტომაც გარდა თავად-აზნაურთა (თავ.-აზნაურთა მომეტებული ნაწილი მილიციის წევრები იყვნენ), გარეშე პირებმაც მოინდომეს დასწრება. მაგრამ ამაოდ. მათ ვინ აღირსებდა კეთილშობილებთან ყოფნას! დაინახეს თუ არა თავად-აზნაურებმა დარბაზში გარეშე პირნი, დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხეს და შეუდგნენ იმის გადაწყვეტას, თუ როგორ გაეძევებინათ დარბაზიდან ეს „მავნე" ელემენტები. მართლაც მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გამოაცხადა, რომ არა სასურველი პირნი გაბძანებულიყვნენ დარბაზიდან. დიდი მხნეობა გამოიჩინეს მილიციონერებმა წინამძღოლის განცხადების სისრულეში მოსაყვანად. ვინც დარბაზიდან გამოსვლის დროს ოდნავ პატარა ნელა გადადგამდა, ქისტის კვრით და მათრახებით აჯილდოვებდნენ.

კერძოდ მე პატარა ხანი შევჩერდი და არ წამოველ. ვფიქრობდი, იქნება გამომტოვონ და არ გამომაძახონ მეთქი. მაგრამ ხუთმა თუ ექვსმა მილიციის წევრმა, ძალზე გაბრაზებულმა, წრე შემომარტყა და მრისხანედ მკითხა, რაგვარი ხარო. უნდოდათ დანამდვილებით გაეგოთ აზნაური ვიყავი, თუ არა. გაიგეს რა ჩემი გვარი, ერთი თავადი გაეშურა ჩემის გვარის ამოსაკითხავად თავად-აზნაურთა სიაში. მაშინ ავდექი და მოვახსენე კრებას: დავიჯეროთ ყველა თავადი და აზნაური იმ აზრისაა, რომ არა თავადი და არა აზნაური არ უნდა დაესწროს კრებას? ან ფარულად რა უნდა ჰქონდეთ გადასაწყვეტი თავად-აზნაურთ-მეთქი? ამის თქმის შემდეგ პასუხის მაგივრად ახლო მდგომნი მილიციონერები, ძალზე გამწარებულნი, მომცვივდნენ ყვირილით: გასწი, გასწი... და ძალაუნებურად დამატოვებინეს დარბაზი. როცა უკანასკნელად, გამოსვლის დროს, ვუთხარი, რომ აზნაურიც რომ ვყოფილიყავ, უარს ვიტყოდი აზნაურობაზე-მეთქი, მაშინ ერთმა კარებში მდგომმა თავადმა (ისიც მილიციის წევრია) იძრო ხმალი და ისე გამომედევნა. ვაი შენს მტერს, მე ის დღეს დამაყენებდა, რომ ფეხი პატარა ჩქარა არ გადამედგა და თავისთვის ისე არ მეშველა. ეს გახლავთ წევრი იმ მილიციისა, რომლის თვითეული წევრი გაიძახის: „ჩვენ ხალხს არას ვერჩით, ჩვენი ინტერესები ხალხის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და ხალხისთვის უფრო მეტს ვფიქრობთო".

სტუდენტი დავით პაპიტაშვილი.

* * *

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

28 ივლისი

პორტ სმუტი, 27 ივლისი. ვიტტემა და კომურამ ინახულეს სტატს-სეკრეტარის ამხანაგი პირსი და სთხოვეს, განკარგულება მოახდინოს, რომ რჩევის დრო, საზღვაო არსენალის შენობაში არავინ შეუშვან გარეშე პირთაგანი- ორივე დელეგაციის წევრთ შორის დღითი-დღე ამხანაგური დამოკიდებულება მტკიცდება. ასეთი ფაქტები, როგორც რუსისა და იაპონიის დელეგატების მუსაიფი აღარ იწვევს კომენტარიებს. („რეიტ.").

გოძიადანი, 28 ივლისი. ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკება მოსდით მზვერავ რაზმებს. იაპონელები გაურბიან შეტაკებას, ხშირად ბევრს ადგილას, უსროლელად იახლოვებენ ჩვენებს, გამოდიან საფარებიდან, ქუდებს უქნევენ, უყვირიან, უკან წადით, რადგანაც აღარ გვინდა გესროლოთო. ათასობით ჰყრია იაპონელების პროკლამაციები, საცა ისინი ემუდარებიან რუსებს, კვლავ ნულარ ვიომებთ და ირწმუნებიან, რომ 30 ივლისს ზავი იქმნება ჩამოგდებულიო.

სიტიაზა, 28 ივლისი. 23 ივლისს ღამით მოხალისეთა კამანდებმა დაზვერეს იაპონელების ბანაკების მდგომარეობა, შახეცზისთან დასწვეს თივის ზვინები და ჩაუსაფრდნენ მდ. სილოოლიხეს მარჯვენა ნაპირზე, საცა თავს წააწყდა იაპონელების მზვერავები, რომლითაც, ბრძოლის შემდეგ, უკან დაიხიეს, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე ერთი მოკლული. უდელტეხილზე, ტაულუს სამხრეთით, მოხალისეებმა აღმოაჩინეს იაპონელების ბატალიონის წინ გამოლაშქრება. პირის-პირ სროლის დროს მძიმედაა დაჭრილი [illegible] კოვიჩი. მარჯვენა ფრთაზე დაზვერვა სწარმოებს.

პარიზი. გაზეთ „ტან"-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, მაროკოს სულთანმა 10 მილ. მარკა მიიღო გერმანიის ბანკირებიდანო. გერმანიის მთავრობამ აცნობა საფრანგეთისას, რომ ეს სესხი არავითარ პოლიტიკურ-ეკონომიურს უპირატესობას არ წარმოშობსო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ საქმის შესახებ იქ არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

სიმფეროპოლი. ხელოსნები შეამდგომლობენ, ნუ მიეცემა ნება სახელოს სასწავლებელს სამუშაოს აღებისა, ვინაიდან იქ იაფად იღებს შეკვეთების უფასო შრომის წყალობით საქმეებს, რამაც ისე დასცა ფასები, რომ არავითარ კონკურენციას არ აქვს ძალაო.

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს საყოველთაოდ ნიჟნი-ნოვგოროდში დემონსტრანტებსა და ბრბოს შორის მხოლოდ 10 და 11 ივლისს მოხდაო. ამ დღეებში მოჰკლეს 8 კაცი, დასჭრეს 17 მძიმედ და 16 მსუბუქად, 17 ჭრილობა შეუხვიეს, სამი კაცი რევოლვერით იყო მოკლული დემონსტრანტებისაგან, რომელთაც 2 გლეხი და ერთი მატროსი მოჰკლეს და დასჭრეს რამდენიმე სხვა. ბრბოს მიერ მოკლულ მეაფთიაქე კუინცეს მონაწილეობა არეულობაში მტკიცდება პოლიციელებისა და მის მიერ დაჭრილ მეეტლის მოწმობით. მისს მოთავეობას არეულობაში ამტკიცებს ისიც, რომ 9 ივლისს მას მიუმართავს ბოქაულისთვის, თუ წაიყვანთ ჯარებს, მანიფესტანტები დაშოშდებიანო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

26 ივლისი.

პორტ-სმუტი, 27 ივლისი. დღემდე არ შეხებიან კიდევ ზავის პირობების საკითხს. ალბათ პირობებს ხვალინდელ სხდომაზე წარადგენენ. რწმუნებულები დღეში ორჯელ შეიკრიბებიან. პირველი სხდომა ცოტა ხანს გაგრძელდა. ორივე მხრის რწმუნებანი საკმაოდ ჩასთვალეს.

ლონდონი. ინდოეთიდან მოსულ ცნობებით, ძლიერ გამწვავდა კერზონსა და კიტჩენერს შორის დამოკიდებულება, რისაც ერთის მათგანის სამსახურიდან გასვლა მოჰყვება უსათუოდ.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით, პეტერგოფის ბჭობამ, როგორც ხმებია, არსებითად შეასწორა ხალხის წარმომადგენლობის პროექტი; ამ შესწორებით გლეხებს ნება აქვთ იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში საკმაო რიცხვი წარმომადგენლებისა, რომელთაც ისინი თავიანთის წრიდან არჩევენ. ეს ცვლილება შეუტანიათ რჩევაზე მოწვეულ მსხვილ მემამულეთა მეცადინეობით, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესის ბიუროკრატიის წარმომადგენელნი ცივ უარს ამბობდნენ ამ შესწორების შეტანაზე. გლეხების ინტერესების დამცველთა ცხარე კამათმა ის ნაყოფიც-კი მოიტანა, რომ უკანასკნელ სხდომაზე არ იქნა მოწვეული ერთი ადმატებულთაგანი. იუწყებიან, რომ სახელმწიფო სათათბიროს ეყოლება 491-დან 495-მდე წევრი, რომელთაც ირჩევენ ხმის ორკეცად მიცემით მცხოვრებლების ჯგუფების მიხედვით; არჩევანი იქნება არა წოდებრივი, გლეხების წარმომადგენელთა გარდა, რომელნიც ირჩევიან სამ-კეც არჩევანით მათსავე წრისაგან. გლეხების ჯგუფებს გარდა, ორია კიდევ—ქალაქის ამომრჩეველნი, რომელთაც საქალაქო არჩევნების უფლებები ექმნებათ და სოფლის მემამულენი, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ერობებში. ამასთანვე დადგენილია, რომ გუბერნიიდან ერთი არჩეული მაინც იყოს გლეხების [illegible] ამომრჩევლები დიდ-ძალი სხვა ჯგუფების ამომრჩევლებთან შედარებით, ამიტომ, უეჭველია, ზოგიერთ გუბერნიიდან რამდენიმე წარმომადგენელი ეყოლება გლეხებს. არა-რუსთა ინტერესებიც არ დავიწყნიათ, მათ რიცხვში ებრაელებიც, რომელთაც უფლებას შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ქალაქის ჯგუფთა არჩევნებში, ასე რომ ზოგიერთ გუბერნიებიდან მათი წარმომადგენელნი საკმაოზედ მეტიც იქნება. სწავლულ საზოგადოებათა და კორპორაციების საგანგებო წარმომადგენელნი არ იქნებიან. სახელმწიფო სათათბიროს სხდომები, ალბად, გატჩინოში იწარმოებს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტილიონი, სამკედლო და სასლესრო საქმეებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა: (30—15)

გავალე რესტორანი
„სამშობლო"
(ყოფილი ლუდხანა „სამადლო").

მამა-დავითის მთაზე „ფუნიკულერი"-ს უკან, ხელ-მარცხნივ, სადაც იყიდება ნამდვილი კახური ღვინო, ცივი ლუდი, კრუშკით და კვარტით, და ყველა მაგარი სასმელი საუკეთესო ფირმებისა. იქვეა სამზარეულო, სადაც მზადდება კავკასიური „ბასტურმის მწვადები" და ყველა გრილი საჭმელი. ფასი ყველაფერზე იაფია, რომ მადლობელი დარჩება პატივცემული საზოგადოება.

(3—97—3) პატივცემით **იგნატი ერაძე.**

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული გელბორდტ ლოკში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—10)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—20)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—14)

Բացւած է ՉՈՐՍ ԱՄՍՒԱՅ բաժանորդագրութիւն
ՀԱՍԿԵՐ
Մանկական պատկերազարդ ամսագիր
1905 Թ. ՍԵՊՏԵՄԲԵՐԻՑ ՄԻՆՉԵՒ ՏԱՐՒԱՅ ՎԵՐՋԸ

Ամսագիրը լոյս է տեսնելու Թիֆլիսում 32—48 երեսանոց մեծադիր գրքոյկներով և հրատարակւելու է հետևեալ ծրագրով

1. Բանաստեղծութիւն՝ արձակ և ոտանաւոր (վէպ, պատմւածք, պատկեր, բեմական գրւածք, պօէմ, բանաստեղծութիւն, առակ եւլ գեղարւեստական երկեր)։—2. Կենսագրութիւն։—3. Ճանապարհորդութիւն։—4. Գիտական հանրամատչելի յօդւածներ աշխարհագրութիւնից, պատմութիւնից, բնագիտութիւնից և գիտութեան այլ ճիւղերից։—5. Յօդւածներ գեղարւեստի մասին։—6. Մանր լուրեր և Ալլեալք։—7. Ֆիզիքական փորձեր, խաղեր, շարադներ, ռէբուսներ և զանազան զւարճալիքներ։—8. Թղթակցութիւն մանուկ ընթերցողների հետ։

▬ Ամսագրի նպատակն է ա) ներշնչել մանուկ ընթերցողներին վսեմ ձգտումներ, արծարծելով նրանց մէջ սէր դէպի մարդը և դէպի հայրենի միջավայրը, բ) տալ նրանց ճիշդ հասկացողութիւններ բնութեան և մարդու մասին, գ) զարգացնել նրանց ճաշակը և դ) ուրախութիւն եւ աշխոյժ մտցնել մանկական կեանքի մէջ։

Ամսագիր ունենալու է նաեւ ՄԱՆԿԱՎԱՐԺԱԿԱՆ ԲԱԺԻՆ, որ հրատարակւելու է իւրաքանչիւր ամիս 16—24 երեսանոց առանձին տետրերով, հետեւեալ ծրագրով:

1. Յօդւածներ և ակնարկներ մանուկների ֆիզիքական, մտաւոր և բարոյական կրթութեան զանազան խնդիրների մասին։—2. Նորութիւններ դպրոցական կեանքից և մանկավարժական գրականութիւնից։—3. Մատենախօսութիւն և քննադատութիւն մանկավարժական և մանկական գրքերի։—4. Մանր լուրեր և Ալլեալք։—5. Խորհուրդներ, հարցեր և պատասխաններ։—6 Փոստարկղ։—7. Յայտարարութիւններ։

▬ Այս բաժինը ի նկատի ունի՝ ա) օգնել ծնողներին և առհասարակ մանուկների դաստիարակութեամբ պարապողներին լուսաբանելու ընտանեկան և հասարակական կրթութեան ճշմարիտ նպատակներն ու միջոցները ներկայ պարագաներում, երբ հայ ընտանիքը ենթարկւում է անխուսափելի արմատական փոփոխութիւնների, բ) իրար մօտեցնել դպրոցը և ընտանիքը և գ) գործնական ցուցմունքներով դիւրացնել ընտանեկան դաստիարակութեան գործը, մանկական ընթերցանութեան և տնային զւարճութիւնների կազմակերպութիւնը, դաստիարակների և վարժուհիների ընտրութիւնը և այլն։

Չորս ամսւայ բաժանորդագինն է.

ՀԱՍԿԵՐ մանկական բաժինն Թիֆլիսում և Թիֆլիսից դուրս . . 1 ր. մանկավարժական բաժնով . 1 ր. 40 կ.
Արտասահմանում . . . ԵՐԵՔ ֆր. ՉՈՐՍ ֆր.

Խմբագիր-Հրատարակիչ Կաս. Լիսիցեան

Բաժանորդ կարելի է գրւել խմբագրատանը, Թիֆլիս, Բեհբութեան փ. № 29, (Редакція журнала „Аскеръ" կամ Rédaction du journal «Hasker») և «Գուտենբերգ» և «Կենտրոնական» գրախանութներում և «Հերմէս» պարանում Բաքու, Сотрудникъ» գրախանութում

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Іюль 1905 г.

Моч. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა